საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 248 (527) პარასკევი, 4 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

დაზუსტებული ცნობით

დაზუსტებული მონაცემებით, 2 დეკემბერს საარტილერიო თავდასხმით მშვიდობიან ქალაქზე მასობრივი თავშეყრის ადგილებისთვის სამუშაო დროს, დაიღუპა 12 კაცი, მათ შორის 8 ქალი, 24 დაიჭრა.

მორიგ მხეცურ აქციასთან დაკავშირებით, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრესსამსახურმა განცხადება გამოაქვეყნა.

●

სატანკო შეტევა ჩაიშალა

2 დეკემბერს, დილის 7 საათზე ქართველთა ჯარების პოზიციების თავზე გამოჩნდა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი, რომელიც დიდხანს ზვერავდა საომარი მოქმედების ზონას. ნაშუადღევს დაიწყო ქალაქ სოხუმისთვის არტილერიის დაშენა. მშვიდობიან მოსახლეობას შორის არიან მოკლულები და დაჭრილები.

დაახლოებით 13 საათისათვის ფრონტის ხაზზე, მდინარე გუმისთის გასწვრივ ექვსი ტანკის გამოყენებით მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა ქალაქზე. ქართველი მეომრების საპასუხო ცეცხლით შეტევა მოიგერიეს. მოწინააღმდეგემ დაკარგა 30-მდე მეომარი. გარდა ამისა, პირდაპირი მოხვედრით აფეთქებულია ერთი ტანკი და ერთიც — დაზიანებულია. ჩვენი მხრიდან, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

ამ დღეს საომარი მოქმედება გრძელდებოდა ოჩამჩირის რაიონშიც. აქ მიმდინარეობდა მცირემასშტაბიანი ბრძოლები დივერსიულ ჯგუფებთან სოფლების არადუსა და მერკულის მიდამოებში, ტამიშლაბრის მიმართულებით კი მოწინააღმდეგემ განახორციელა ლოკალური მნიშვნელობის შეტევა, მაგრამ უკუაგდეს. ამის შედეგად საქართველოს ჯარებმა მთლიანად დაიკავეს სოფელი ტამიში და მჭიდროდ მიუახლოვდნენ მდინარე ლაბრას. მოწინააღმდეგემ მოკლულებისა და დაჭრილების სახით დაკარგა 12 კაცი. ჩვენი მხრიდან 1 გვარდიელი მოკლულია და ორიც მსუბუქადაა დაჭრილი.

თენგიზ ჯიბუტი.

●

გრძელდება შეტაკებანი

სოხუმი (იტარ-საქდესის შტატგარეშე კორ. თენგიზ პაპკორია). 3 დეკემბერს ღამით, ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთ სოფელში გრძელდებოდა შეტაკებანი ქართველთა და აფხაზთა ფორმირებებს შორის.

საქართველოს სამხედრო სარდლობის სოხუმის შტაბის პრესცენტრის მონაცემებით, საქართველოს ჯარებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს სოფელი ტამიში და რამდენიმე კილომეტრით წაიწიეს წინ ლაბრის მიმართულებით. პრესცენტრის ცნობაში ნათქვამია, რომ აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა ფორმირებებმა ამ შეტაკებების დროს დაკარგეს 12-მდე კაცი მოკლულთა და დაჭრილთა სახით, ქართველთა მხრივ დაიღუპა ორი და დაიჭრა რამდენიმე კაცი.

●

შეტევა

წუხანდელი ცნობით საქართველოს ჯარებმა განახორციელეს შეტევითი ოპერაცია. გათავისუფლებულია ოჩამჩირე-სოხუმის გზა.

ამ დღეებში

გვაცნობებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

საქართველოში ომია: ყოველი მისი მოქალაქე სამხედრო რეჟიმის შესაბამისად უნდა ირჯებოდეს

რესპუბლიკის პარლამენტის დღიური

საქართველოს პარლამენტის განახლებულ სხდომაზე, ხუთშაბათს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტარებს აცნობა, რომ წინა დღით გამართული მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე მას შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა ერთად თავმოყრილ ახალი მთავრობის წევრებს, გასცნობოდა მათი მუშაობის გეგმებს და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ დამტკიცებაში პარლამენტს შეცდომა არ დაუშვია, სწორი არჩევანი გააკეთა.

— მე გუშინ ვთქვი, და ახლაც ვიმეორებ, — განაგრძო მან, — რომ საქართველოში ომია. ეს რეალობაა და ამიტომ ყველა ჩვენგანი, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა ცხოვრობდეს და მუშაობდეს სამხედრო რეჟიმის წესების შესაბამისად. ეს ეხება პარლამენტის და მინისტრთა კაბინეტის წევრებსაც, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებსაც, საერთოდ ყველას. თუ ამას საქართველო მოითხოვს, ყოველი ჩვენგანი უნდა დადგეს დღევანდელ ყოფიერებაზე მაღლა. ღამის სამ საათზეც რომ დაგვჭირდეს პარლამენტის შეკრება, ყოველ მიზეზ გარეშე უნდა შევიკრიბოთ. ეს ეხება არა მარტო პარლამენტს, არამედ ყველა სტრუქტურას, რადგან დღეს ლაპარაკია ქვეყნის გადარჩენაზე.

თვით ცხოვრებამ და ხალხმა დაგმო ჩვენში მიღებული მუშაობის ძველი სტილი. პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა იმ მეთოდებსა და რეჟიმს, რომლითაც მინისტრთა კაბინეტი მუშაობდა. ეს ხომ სინამდვილეა, ზოგჯერ მინისტრის ძებნას დღე-ნახევარი სჭირდებოდა. მას ვერსად ვერ ნახავდით — ვერც კაბინეტში, ვერც საწარმოებში, ვერც შინ. ამას ბოლო უნდა მოეღოს. რა თქმა უნდა, ამას ხელაღებით ყველაზე ვერ ვიტყვით, ბევრი ძველი მინისტრი კარგი მოქალაქეც არის და კარგი სპეციალისტიც. მე მათ გუშინ მადლობა გადავუხადე. არიან ისეთებიც, რომლებსაც ვერ გაუგიათ, თუ რატომ გაუშვეს. პასუხი ერთია: ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა მუშაობის იმ სტილსა და მეთოდებს, რომლებიც ჩვენში ბატონობდა უახლოეს წარსულში.

თუ დავინახავთ, რომ ახლად არჩეული მინისტრები ჭეროვან დასკვნებს ვერ გამოიტანენ, პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა გადააყენოს ისინი. იმათ კი, ვისაც საინტერესო გეგმები აქვს და, როგორც იტყვიან, 24 საათს იმუშავებენ მათ განსახორციელებლად, პარლამენტი მხარში უნდა ამოუდგეს.

როგორც პერსპექტიული და უნარიანი მუშაობის მაგალითი, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დაასახელა ბიოქიმიის ინსტიტუტი, რომლის კოლექტივსაც იგი წინადღით შეხვდა.

— ინსტიტუტიდან ფრთაშესხმული დავბრუნდი, — თქვა მან. — მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივი უაღრესად რთულ პირობებში მუშაობს, მან ბევრი რამ შექმნა, რაც უკვე დღეს შეიძლება პრაქტიკულად ჩადგეს ხალხის სამსახურში, ხოლო სამომავლოდ დამუშავებულია უაღრესად საინტერესო თემები. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე მიღწევები ბევრ სხვა სამეცნიერო ლაბორატორიებსაც აქვთ. ამიტომ უნდა დაისვას მეცნიერებისაკენ შემობრუნების ამოცანა. ეს უზარმაზარი რეზერვია, რომლის პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა აფხაზეთის პრობლემებზე: მე საკმაოდ საფუძვლიანად მაკრიტიკებენ იმისთვის, რომ თავიდან, როცა ჩვენი ჯარების გადაადგილება მოხდა აფხაზეთში გარკვეული მიზნით, მინდოდა ეს კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო. ასეთი მიდგომის შედეგი იყო 3 სექტემბრის ხელშეკრულებაც, მაგრამ იგი ვერ შესრულდა. საერთოდ პატიოსანი ხელშეკრულების მომხრე ვარ. ჩვენდა სამწუხაროდ, ექსტრემისტი აფხაზი ხელმძღვანელები ამ გზას არ დაადგნენ. მოლაპარაკების პროცესი პრაქტიკულად იმისთვის გამოიყენეს, რომ გაგრა, ლესელიძე და განთიადი გადამთიელებს დარჩენოდათ. კვლავ დაიწყო მოლაპარაკება. გაჩნდნენ შუამავლებიც. ჩვენ უარი არ გვითქვამს ამაზე, მაგრამ მუხანათურად დაეცნენ ოჩამჩირეს, ათობით ადამიანი ამოხოცეს და სახლებიც დაწვეს. გუშინ მოხდა კიდევ უფრო უარესი ამბავი. პირდაპირი დამიზნებით ჭურვები ჩამოაგდეს სოხუმის ბაზარში, სადაც დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები. სახელმწიფოს მეთაურმა არ უნდა დაკარგოს წონასწორობა, რაც უნდა რთულ ვითარებაში მოხვდეს, მაგრამ არ დაგიმალავთ, გუშინ თავი ვერ შევიკავე...

საქართველომ მთლიანად მოიხადა თავისი ვალი, ყველაფერი იღონა მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის. ამიერიდან ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს ქართული მიწა-წყალია და სხვა წესრიგი აქ არ იქნება. იქნება ისე, როგორც ამას თვით საქართველო გადაწყვეტს.

არ შეიძლება 5-10 წელი ვიომოთ. ომი უნდა დამთავრდეს მალე და რაც შეიძლება ღირსეულად! ეს მარტო სიტყვები არ უნდა იყოს. და სწორედ ამისთვის ყველა უწყება და საწარმო გასამხედროებულ სამუშაო რეჟიმზე უნდა გადავიდეს.

მართალია, დღეს ყველას უჭირს, უჭირს ჩვენ ხალხს, მაგრამ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ თავდაცვის ფონდს, ვისაც რითი შეუძლია — თბილი ტანსაცმელი იქნება ეს, ფულადი სახსრები თუ სხვა რამ. მათ, ვინც საბრძოლველად მიდის, ყველა პირობა უნდა შევუქმნათ იმისათვის, რომ ღირსეულად იბრძოლონ. არ ვმალავ, იარაღის შეძენაც დაგვჭირდება. აფხაზეთში საბრძოლველად მზად არის რამდენიმე ბატალიონი. დღეს უნდა შევხვდე თბილისელთა ბატალიონს, რომელიც სოხუმში მიდის. და ის არ იქნება ერთადერთი.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა საყოველთაო წესრიგის დამყარება მთლიანად რესპუბლიკაში, სახელმწიფო ტრასებზე, თბილისში, მიმოიხილა ის ღონისძიებები, რომლებიც კონკრეტულად ხორციელდება საამისოდ.

პარლამენტის სხდომაზე განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ზოგიერთი წევრის დამტკიცების საკითხი. პარლამენტმა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დაამტკიცა კონსტანტინე კემულარია. კონსულტაციების გამართვის მიზნით კვლავ გადადებულია მიწის რესურსებისა და რეფორმის კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტარებს გაუზიარა თავისი მოსაზრება საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტის მომავალზე. კერძოდ, მან თქვა, რომ შეხვედრა ჰქონდა ტელევიზიის კოლექტივთან, რომელმაც მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საერთოდ ეს ჯანსაღი, შრომისუნარიანი და პოტენციურად ძლიერ თანამოაზრეთა გაერთიანებაა. მას აქვს თავისი პოლიტიკური მრწამსი და მზად არის ემსახუროს თავის ხალხს. ამავე დროს იგი შედგება სხვადასხვა ქვეგანყოფილებებისგან, რომლებიც რეალურად კორპორაციის ელემენტებს წარმოადგენენ. თვით კოლექტივის სურვილია ტელერადიოდეპარტამენტი გადაიქცეს კორპორაციად, რომელიც უფრო მასშტაბურად შეძლებს თავისი მუშაობის გაშლას.

ამავე დროს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი პრესაზე — იგი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი დიქტატისაგან, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

ტელერადიოკორპორაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე დასახელებული იყო არჩილ გოგელიას კანდიდატურა, რომელსაც, ძირითადად, კოლექტივიც უჭერს მხარს.

ტელერადიოს სტრუქტურულმა მოწყობამ, მისი ხელმძღვანელის არჩევის წესმა აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. წარმოდგენილი იყო სამი სხვადასხვა ვარიანტი, რომლებიდანაც პარლამენტარებმა მიიღეს შემდეგი: ტელერადიოს ხელმძღვანელს ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური და ამტკიცებს პარლამენტი.

ასეთი წესით ჩატარებული კენჭისყრის შედეგად ტელერადიოკორპორაციის პრეზიდენტად დაამტკიცეს არჩილ გოგელია.

3 დეკემბერი ღვთისშვილთა საერთაშორისო დღეა. სახელმწიფოს მეთაურის წინადადებით საქართველოს პარლამენტი მიესალმა ღვთისშვილებს, უსურვა მათ შეძლებისდაგვარად ყოფილიყვნენ მშობლიური ერის სამსახურში.

საღამოს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ბატონი რაულ ქუპრავა.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

◉



სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პირველი სესიის მორიგ სხდომაზე.

იოსებ დავითაშვილისა და **ვანო შამანაძის** ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

რადიკალური გარდაქმნების გზით

ახლად შექმნილი მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომიდან

როგორც ვიუწყებოდით, 2 დეკემბერს გაიმართა ახლად შექმნილი მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომა, რომელმაც განიხილა ამჟამინდელი ეტაპის საჭირბოროტო სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

— საკითხების დღევანდელი განხილვა, — თქვა, კერძოდ, მან, — ადასტურებს, რომ ჩვენ ვითარების გაუმჯობესებაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ რადიკალურ გარდაქმნებზე. ვითარება ისეთია, რომ ასეთი გზების ძიება დაკავშირებულია ურთულეს მოვლენებთან, ურთულეს პირობებთან. დღეს ჩვენ პრაქტიკულად საქმე გვაქვს ახალ კაბინეტთან თავისი შემადგენლობით, და თვისებრივი განსხვავება წინა კაბინეტისაგან ის არის, რომ დღევანდელი მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი, სახელმწიფოს მეთაური კანონიერი, ხალხის არჩეული არიან, და თავისთავად ეს ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. უწინარესად ეს ნიშნავს, რომ მინისტრთა ახალი კაბინეტი, რომელსაც გამოცხადებული აქვს ხალხის არჩეული პარლამენტის ნდობა, მიზანსწრაფულად, გააზრებულად, გაბედულად უნდა მოქმედებდეს, ოპერატიულად უნდა წყვეტდეს საკითხებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ახალი კაბინეტი, ახალი ხელისუფლება უფრო მეტად უნდა იყოს დარწმუნებული საკუთარ ძალებში, საკუთარ თავში, მას ხალხის მანდატი აქვს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ავიცილოთ ის საბედისწერო შეცდომა, რომელსაც ვერ ასცდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, სადაც გაუთავებელი ჭიდილია პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის. ჩვენ გარკვეული მოდელი მოვძებნეთ. ის, რომ კანონიერები ვართ, აქტიური მოქმედების გარანტიაა.

პირველი, რაც მინდა გითხრათ, ეს არის მჭიდრო თანამშრომლობა პარლამენტთან, შესაბამის საპარლამენტო კომისიებთან და, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა სტრუქტურებთან, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. ალბათ, უმადურობა იქნებოდა არ გვეთქვა, რომ ყოფილი კაბინეტი ვიცე-პრემიერები ბატონი თენგიზ სიგუას მეთაურობით, მინისტრები ურთულეს პირობებში, ომიანობის პერიოდში, ასე თუ ისე გარკვეულ ხაზს ქმნიდნენ და ამდენად თქვენი მოღვაწეობა ცარიელ ადგილზე არ იწყება. ამას მე შემთხვევით არ აღვნიშნავ. ცუდ სტილად და მეთოდად მიმაჩნია, როცა ესა თუ ის ხელმძღვანელი მუშაკი თავის მოღვაწეობას თავისი წინამორბედის ლანძღვა-გინებით და კრიტიკით იწყებს. ამისათვის არც დრო გვაქვს და არც ჩვენი ხასიათიდან მომდინარეობს ეს. ჩვენი ნიჭი და უნარი უნდა მოვახმაროთ მთავარ საქმეს, ცოცხალ, შემოქმედებით, ორგანიზაციულ-პრაქტიკულ საკითხებს. ამასთან, საწყისი ეტაპისათვის დრო არა გვაქვს. დღეს ყველა სრულ სამუშაო ფორმაში უნდა იყოს და რაც შეიძლება ნაკლები დრო დახარჯოს იმის ქექვაში, თუ რა შეცდომები, რა გადახრები იყო. უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს მთავარი მიმართულებების განსაზღვრა, მათი ჩამოყალიბება, მუშაობის მეთოდების ფორმირება. მხედველობაში მაქვს ყველა ჩვენგანის, უწინარესად სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, მინისტრთა კაბინეტი.

ძირითადად ჩვენი მიზანი ის უნდა იყოს, რომ გავიაზროთ გლობალური პრობლემები, მარ-

(დასასრული მე-2 გვ.).

გულის კარნახით, სამშობლოს სიყვარულით

ათასობით თბილისელმა გამოთქვა სურვილი გახდეს მოხალისე და გაემგზავროს აფხაზეთში. მაგრამ „თბილისის" დივიზიის სამხედრო ქვედანაყოფების დასაკომპლექტებლად საუკეთესოთაგან საუკეთესონი შეარჩიეს. მათ შეგნებულად გაცვალეს შეჩვეული ბინები, ზოგჯერ კი პრესტიჟული თანამდებობანიც ყაზარმულ ცხოვრებაზე და მოკლე ვადაში შეუდგნენ მეცადინეობას საბრძოლო მომზადებისათვის.

და აი, 3 დეკემბერს, „თბილისის" პირველი ბატალიონის საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ჩარიცხვის ცერემონიაზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკის ტერიტორიაზე მივიდნენ პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, მისი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ედუარდ შევარდნაძე, ქვეყნის, არმიის, ქალაქის მერიის სხვა ხელმძღვანელები.

შეიარაღებული ძალების სარდალმა, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ანატოლი კამკამიძემ მკაფიოდ განუმარტა მებრძოლებს აფხაზეთში მომავალ დისლოცირებასთან დაკავშირებული ამოცანები.

სამშობლოს დამცველთა წინაშე გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ ჩვენ ომით არ შევსულვართ აფხაზეთში, იგი თავს მოგვახვიეს, და შეუძლებელია გაგრაში, ლესელიძეში, კოჩარაში და სხვაგან ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დავიწყება და პატიება. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მას არავის არ დავუთმობთ. მე მწამს, — თქვა მან, — რომ მოვა დრო, და ჩვენ მშვიდობიანად ვიცხოვრებთ აფხაზებთან ერთად, მაგრამ არავითარი საერთო არ გვექნება ალვირახსნილ ექსტრემისტებთან. იქ, აფხაზეთში წყდება დღეს საქართველოს, მისი ტერიტორიული მთლიანობის ბედი, და თქვენთან ერთად მის დასაცავად აღდგება ქვეყნის ბევრი, სხვა მოქალაქეც.

ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ პირველი ბატალიონის პირადი შემადგენლობა ღირსეულად შეასრულებს საბრძოლო ამოცანებს, და ამ მოედანზე კვლავ გაიმართება შეხვედრა ქალაქ თბილისის შვილებთან მათი სასახელო საბრძოლო საქმეების აღსანიშნავად.

მებრძოლებს შეხვდნენ და გზა დაულოცეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თენგიზ კიტოვანმა და ქალაქ თბილისის მერმა ოთარ ლითანიშვილმა.

ზურაბ ბრძოლიშვილი.

* * *

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე „თბილისის" დივიზიის მეომართა შორის.

ვანო შამანაძის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნომერში

⊙ ძველი დირექტორი გაჭირვებას უშველიდა. 2
⊙ მთავრობამ ყველაფერი იცის... კორეაში. 4

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

კონსტანტინე კემულარიას საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს კონსტანტინე კემულარია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 3 დეკემბერი.

მადლობა მილოცვისათვის

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

ნება მიბოძეთ, თურქი ხალხისა და ჩემი სახელით მადლობა გადაგიხადოთ თქვენი აღმატებულების მიერ გამოგზავნილი გულწრფელი მოლოცვისათვის თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 69-ე წლისთავთან დაკავშირებით.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა მომავალშიც განვითარდება და გაღრმავდება.

ვსარგებლობ შემთხვევით და გისურვებთ პირადად თქვენ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, მთელ ქართველ ხალხს კი წინსვლას.

თურგუთ ოზალი,
თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ თქვენს მიერ გამოგზავნილი გულწრფელი მოლოცვისათვის თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 69-ე წლისთავთან დაკავშირებით.

მჯერა, რომ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას შორისაა, კვლავაც განვითარდება. ნება მიბოძეთ, ჩვენი მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, გამოვხატო თქვენი აღმატებულებისადმი საუკეთესო სურვილები.

სულეიმან დემირელი,
თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს

ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგიხადოთ თქვენს მიერ გამოგზავნილი გულწრფელი მოლოცვისათვის თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 69-ე წლისთავთან დაკავშირებით.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობები მომავალშიც განვითარდება და გაღრმავდება.

ვსარგებლობ ამ შემთხვევით, და ვუსურვებ თქვენს აღმატებულებას ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

ჰიქმეთ ჩეთინი,
თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

სეპარატისტ-ექსტრემისტთა ბარბაროსული აქციები

გაგრის, ლესელიძის, განთიადის, ბიჭვინთის, გუდაუთის, კოლხიდის ბარბაროსული აქციების — მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის შემდეგ ამ დღეებში კვლავ არაადამიანური აქციები განახორციელეს აფხაზმა სეპარატისტ-ექსტრემისტებმა და მათმა დაქირავებულმა მოთარეშეებმა. კოჩარაში დახვრეტილია ასობით ადამიანი, გადამწვარ-გადაბუგულია ქართველი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები ოჩამჩირის რაიონის სხვა სოფლებში.

2 დეკემბერს კი ამას მოჰყვა კიდევ ერთი მუხანათური მოქმედება. გუმისთის მხრიდან, პირდაპირი დამიზნებით, ისე, რომ მსხვერპლი რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო, ჭურვები ესროლეს ბაზარს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობის განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. დაიღუპა 12 ადამიანი, 27 კი დაიჭრა, დაზიანდა იქვე ახლომდებარე რუსეთის მესაზღვრეთა ნაწილი.

ადრე და ამ დღეებში მომხდარმა ვანდალურმა ფაქტებმა უკვე მთლიანად ჩამოგლიჯა ნიღაბი გუდაუთაში მყოფ აფხაზ სეპარატისტებს, წარმოაჩინა მათი ექსტრემისტული სახე და ზრახვები და კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ რაოდენ საშიშია ავანტიურისტული პოლიტიკური ზრახვებით შეპყრობილ სეპარატისტთა მოქმედება, როცა იგი იძულებულია ექსტრემიზმის გზას დაადგეს. ექსტრემიზმს შერწყმული სეპარატიზმი კი როგორც გადამდები მოვლენა, შეიძლება ასევე დაემუქროს მშვიდობას სხვა რეგიონებშიც. და ეს ყველამ კარგად უნდა გაიცნობიეროს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო მთელ პასუხისმგებლობას ამგვარი ავანტიურისტულ-ბარბაროსული მოქმედებისათვის აკისრებს გუდაუთაში მოკალათებულ აფხაზ სეპარატისტთა და ექსტრემისტთა ჯგუფს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების და თავდაცვის საბჭო.

ერთობლივი განცხადება

საქართველოს რესპუბლიკასა და განას რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკისა და განას რესპუბლიკის მთავრობები, ხელმძღვანელობენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებით და ისწრაფვიან რა დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები და განავითარონ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის ელჩების დონეზე, რომელიც ძალაში შევიდა 1992 წლის 4 დეკემბრიდან.

რადიკალური გარდაქმნების გზით

(დასასრული)

თვის პრობლემები, დავამუშაოთ ისინი მეცნიერულად, მაგრამ გვახსოვდეს ერთი რამ: არც ერთი გლობალური საკითხი არ გადაიჭრება, რაგინდ მეცნიერულ დონეზეც უნდა იყოს განსაზღვრული, თუ სამინისტრო ვერ წვდება დეტალებს, თუ მინისტრმა არ იცის დეტალები. სხვაგვარად გლობალურ პრობლემებზე ლაპარაკი ლიტონ ფრაზებად დარჩება. ეს რთული პროცესია. ეს მისია ხელქვეითების ამოცანა უნდა გახდეს, მათ უნდა შეძლონ ამის გადაწყვეტა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ისინი დარწმუნებული იქნებიან, რომ ეს მათმა მინისტრმა იცის, საქმის კურსშია, წარმოდგენა აქვს ამ დეტალებზე და მინისტრს უნარი შესწევს სათანადო ორგანიზაცია გაუწიოს დელეგირების ამ რთულ პროცესს.

ყველა ჩვენგანის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად მიმაჩნია რეალური ცხოვრებისაგან გარკვეული მოწყვეტა. ეს ნაკლი დრომ მოიტანა. ჩემი აზრით, სულ ცოტა კვირაში ორ დღეს, უკეთესია — სამ დღეს მინისტრები, კომიტეტების თავმჯდომარეები უნდა იყვნენ იქ, სადაც ადამიანის ბედი წყდება, წარმოება იქნება ეს, სკოლა, საავადმყოფო თუ თეატრი. მაშინ ის დეტალებიც გვეცოდინება და გლობალური პრობლემებიც. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ადგილობრივი სტრუქტურების ფორმირებაც იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც ახალი კანონი გვიკარნახებს, მალე მივაღწიოთ ამ ქვეგანაყოფების გამართულ მუშაობას.

ბიუჯეტზე — ასე მწვავედ რომ დგას საკითხი, — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — უნდა მოგახსენოთ, რომ ვერავითარ გამოსავალს ვერ ვიპოვით, თუ არ იქნა ახლებური მიდგომა — უნარი დეტალებში წვდომისა, დეტალებიდან კი გლობალურისაკენ წინსვლა. ჩვენ არ ვიცით, რას და რამდენს ვკარგავთ, რა რესურსები გვაქვს — დაწყებული ლითონით და დამთავრებული მაკულატურით. დრო არის ასეთი, ომიანობაა და ამისათვის არც კი გვცალია. ის ფაქტი, რომ ციტრუსების დიდ მოსავალს ვერ ვიყენებთ იმისთვის, რომ რესპუბლიკაში რაიმე შემოვიტანოთ, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი რესურსები და შესაძლებლობები გააზრებული არ გვაქვს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ შევუზღუდოთ დამოუკიდებლობა და ავტონომია საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ეს რესურსები კარგად უნდა ვიცოდეთ და ორგანიზაციებს დავეხმაროთ, რომ უფრო მეტი სარგებლობის კოეფიციენტით მოიხმარონ თავიანთი დოვლათი. თუ ქვეყანაში წესრიგი არ იქნა, არავითარი ბიუჯეტი არ იმუშავებს. მაგალითად, თუ არ ამუშავდება საგადასახადო სისტემა, არავითარი ბიუჯეტი არ შედგება. ყველაფერი ის იქნება ქვიშაზე აგებული და მარტო ქაღალდზე დარჩება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ამ სისტემისა და კანონმდებლობის შესრულება. სახელმწიფო სალაროში რომ არაფერი შემოდის, ეს იმის დასტურია, რომ სახელმწიფო თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. სახელმწიფოს თავდაცვის უნარი ვერ ექნება, თუ არ მუშაობს მისი საგადასახადო სისტემა. მიმაჩნია, რომ უახლოესი დღეების, უახლოესი კვირებისთვის ჩვენი საერთო ამოცანაა სრულვყოთ საგადასახადო კანონმდებლობა და შევქმნათ იმის გარანტიები, რომ ყველა ასრულებდეს და ემორჩილებოდეს ამ საგადასახადო კანონმდებლობას.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის სიტყვაში ვრცელი ადგილი დაუთმო საბაჟო სამსახურის მნიშვნელობას, საბაჟო სისტემის ამუშავებას, რომელსაც შეუძლია შემოსავლის საკმაოდ სერიოზული წყარო გახდეს. სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ აუცილებელია საავტომობილო ტრასებზე წესრიგის დამყარება.

— ეს ტრასებიც, — თქვა შემდეგ მან, — შემოსავლის წყაროდ უნდა იქცეს. ბევრი რამ უნდა გააკეთონ საკანონმდებლო ორგანოებმა, კანონშემოქმედებითმა ორგანიზაციებმა, საკონტროლო სისტემამ.

სერიოზული ინსტიტუტი უნდა გახდეს საგადასახადო ინსპექცია. დღეს ფინანსთა სამინისტროს არ უნდა ჰქონდეს უფრო სერიოზული ამოცანა, ვიდრე ის, რომ საგადასახადო ინსპექციას თავისი ადგილი მიუჩინოს. ყველა ქვეყანაში იგი მაღალ საფეხურზეა. ეს ის ინსტიტუტია, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლის მიღების გარანტიაა. ეს პრობლემა გადადებას არ ექვემდებარება, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადაწყდეს. ყველაფერი უნდა ჩამოყალიბდეს უახლესი სამუშაო გეგმის სახით. დღეს უკვე გამოიკვეთა, როგორ მდგომარეობაშია ჩვენი ბიუჯეტი. არ ვარ დარწმუნებული, რომ ბიუჯეტზე ზრუნვით იწყება და ამით მთავრდება ყველა მინისტრის სამუშაო დღე. სხვაგვარად, უამისოდ, არავითარი დამოუკიდებლობა და არავითარი თავდაცვა არ იქნება. თუ ჩვენ კვლავაც გაბედულად ვივლით პროგრესული რეფორმების გზით, გვექნება სტაბილიზაცია, გაჩნდება რეზერვები, მივიღებთ ბანკისაგან, ცალკეული ქვეყნებისაგან. ოღონდ თვითონაც ხელი უნდა გავანძრიოთ. მსოფლიო ეკონომიკურ ცენტრებს ჩვენზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები გამოუყვანიათ რთული სიტუაციიდან — ჩვენც ასევე დაგვეხმარებიან, თუ მათ ექნებათ რწმენა, რომ ყოველი დოლარი საქმიანი კაცის, მცოდნე მოღვაწის ხელში მოხვდება, რომელმაც იცის მისი ფასი და პასუხისმგებლობაც აქვს იმ ფონდის წინაშე. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო წარმოების სფეროს გამოცოცხლების საკითხებს და იგი უპირველეს ამოცანათა რიგში ჩააყენა. — მთელი ჩვენი საზოგადოება უნდა შემობრუნდეს წარმოებისაკენ, — აღნიშნა მან, — ეკონომიკისაკენ, ეხება თუ არ ეხება მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველკლასელით დაწყებული და პენსიონერით დამთავრებული, ყველამ უნდა იფიქროს ეკონომიკაზე, ფინანსებზე, ბიუჯეტზე. მხოლოდ მაშინ შეიძლება მოკლე დროში რაღაც ეფექტი მივიღოთ.

ილაპარაკა რა საწარმოების ახლებურად მუშაობის სტილსა და მეთოდებზე, პრივატიზაციის საკითხებზე, სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ წინა პლანზე საწარმოების საქმიანობაში უნდა იყოს წამოწეული კომერციული საწყისები. ესეც ახალი დროის დამახასიათებელია. თუ სახელმწიფო საწარმოს შეუძლია იმუშაოს გამართულად, რენტაბელურად, მაშინ მისი პრივატიზება არ უნდა ვიჩქაროთ. იქ სხვა პროცესები წავა, პრივატიზაცია სხვა ეტაპზე დაიწყება. თუ ასეთ საწარმოებს სურთ შეინარჩუნონ არსებული ეკონომიკური, ფინანსური ინსტიტუტები, სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესები წინა პლანზე უნდა დააყენონ. სახელმწიფო სექტორმა უნდა იფიქროს ბიზნესზე — სახელმწიფო და კერძო ბიზნესზე. სახელმწიფო ბიზნესი შეიძლება ისევე საინტერესო იყოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როგორც კერძო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეფორმებისადმი ერთგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება ჩამოვაყალიბოთ. საჭიროა დავძლიოთ ნამდვილი რადიკალური რეფორმებისადმი პრიმიტიული, პროვინციალური დამოკიდებულება, ვიმოქმედოთ გაბედულად და სწრაფად, რადგან ჩვენს განკარგულებაში ძალიან ცოტა დროა.

თავის სიტყვაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ პირველი რიგის ამოცანად დასახა სასურსათო პროგრამის შემუშავება. — ეს პრობლემები ჩვენ გვაღელვებს და გვაწუხებს, — თქვა მან. უნდა შევძლოთ ჩვენი საშუალებების გათვლა და იმის გაანგარიშება, თუ რეალურად რისი შემოტანა შეგვიძლია. პირველ რიგში იმათ უნდა დავუჭიროთ მხარი, ვისაც რისიმე შემოტანის საშუალება და ამის ნიჭი და უნარი აქვს. პრივატიზაციის დროსაც მათ უნდა მივცეთ უპირატესობა. ეს კანონად უნდა იქცეს და მაშინ შეიძლება გამოსავალი გამოვძებნოთ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა ეკონომიკის სამინისტროს როლსა და დანიშნულებაზე, რომელმაც გარდა იმისა, რომ უნდა გააანალიზოს არსებული სიტუაცია, უნდა მოგვაწოდოს გარკვეული მოსაზრებები, დაგვისახოს კრიზისიდან თავის დაღწევის რეალური გზები.

შეეხო რა ენერგეტიკული უზრუნველყოფის პროგრამას, სახელმწიფოს მეთაურმა წამოაყენა რიგი პრაქტიკული წინადადებები, რომელთა რეალიზაცია საშურია. ენერგეტიკაში, — აღნიშნა მან, — უნდა იყოს მოკლევადიანი პროგრამა, რაც ამ ზამთრისა და ადრე გაზაფხულისათვის არის საჭირო, და უფრო გრძელვადიანი, პერსპექტიული გეგმები.

თავის სიტყვაში მან ფართო ადგილი დაუთმო მიწის პრივატიზაციის საკითხებს, რომლებიც საკმაოდ სწრაფი ტემპით განხორციელდა. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ქალაქების ყველა მცხოვრებს, ვისაც აქვს სურვილი ფეხი დაადგას მიწას, დაამუშაოს იგი, უნდა მივცეთ მიწის რაღაც რაოდენობა, ყოველმხრივ წავახალისოთ ეს მოძრაობა — მოძრაობა სოფლისაკენ. თუკი ვინმეს მოუნდება, თუკი ვინმეს შეუძლია თოხი დაიჭიროს ხელში, იმუშაოს მიწის ნაკვეთზე, საკუთარ ოჯახს შეაშველოს ხელი, მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. ამაზე უნდა იფიქროს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რაიონების გამგებლებმა. სახელმწიფოს მეთაურმა დადებითი შეფასება მისცა ამ მხრივ კახეთში გადადგმულ ნაბიჯებს.

ასეთი რთული ცხოვრების პირობებში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ჩვენი საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველი ნაწილი — პენსიონერები, სტუდენტები, ბავშვები, აღნიშნა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — შესაბამისი სამინისტროები ამ ხალხის ინტერესების სადარაჯოზე უნდა დადგნენ და აგრძნობინონ მათ, რომ მთავრობას არა აქვს უფრო დიდი და მთავარი საზრუნავი, ვიდრე ამ ადამიანებზე ზრუნვა. არ უნდა გავურბოდეთ მწვავე საკითხებს. მე სინდისი მქენჯნის, როცა ვხედავ, რა ხდება პურის რიგებში. უნდა მივიდეთ იქ, სადაც პურის რიგებია, ავუხსნათ და გავაგებინოთ მიზეზები, ბოდიში მაინც მოვუხადოთ მათ. თუ ასე არ მოვიქცევით, ახალი მთავრობა ძალიან მალე დაძველდება და ამას კი იცით რაც მოჰყვება. უნდა ვიფიქროთ ისეთ უზარმაზარ რეზერვზე, ინტელექტუალურ სიმდიდრეზე, როგორიცაა ჩვენი მეცნიერება. რა დევს მათ ლაბორატორიებში, რაც შეიძლება ხვალ-ზეგ, ერთი წლის შემდეგ საქმეში ჩავდოთ, ამაზე ნათელი წარმოდგენა არ გვაქვს. განსაკუთრებით მინდა გამოვკვეთო მეცნიერებათა აკადემიის და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის როლი. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერული კვლევის შედეგებს, სადაც ბევრი სასიკეთო და სასარგებლო საქმე კეთდება. მან აგრეთვე მოიყვანა რუსთავის აზოტის ქარხნის მაგალითი, რომელიც ევროპული სტანდარტების დონეზე მომუშავე საწარმოა.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო ჩვენი ყოფის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას — ლტოლვილთა პრობლემას, და აღნიშნა, რომ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტებმა, ყველა სამინისტრომ გარკვეული ძვრები უნდა მოახდინონ მათი პრობლემის მოგვარების საქმეში.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე შეჩერდა აგრეთვე საქართველოში საელჩოებისათვის შესაფერისი შენობების გადაცემის საკითხზე და გამოთქვა რწმენა, რომ სამინისტროები და კომიტეტები გაგებით მოეკიდებიან ამ პრესტიჟულ პრობლემას და შეუქმნიან საელჩოებს მუშაობის სათანადო პირობებს.

სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა უმთავრეს პრობლემაზე — სამინისტროებისა და უწყებების, რა თქმა უნდა, მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მუშაობის სამხედრო რეჟიმზე გადაყვანაზე. ეს რეჟიმი ნიშნავს, რომ ყველა უნდა მუშაობდეს ისე, როგორც შეეფერება საომარ ვითარებას. საქართველოში ნამდვილი ომია, აღნიშნა მან. — ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ომი არ ყოფილიყო. აფხაზეთში საომრად არ შევსულვართ. ჩვენ იგი თავს მოგვახვიეს. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვისაც, რომ ომი შეწყვეტილიყო და კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარებულიყო. ეს კი იმისათვის გამოიყენეს, რომ გაგრა წაგვართვეს. იყო კიდევ იმპულსები იმისა, რომ დაგვეწყო მოლაპარაკება. მაგრამ სოფელ კოჩარაში ამოწყვიტეს ათობით ქართველი, გადაწვეს სახლები. პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი გაუხსნეს სოხუმის ბაზარს. დაიღუპნენ და დაიჭრნენ ადამიანები. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბატონი არძინბა დაბრუნდა მოსკოვიდან. ვისთან აქვს კონკრეტულად მას საქმე, თქვენ კარგად იცით. იქ არსებობს ფრთა, რომელიც ისევე ებრძვის ელცინს, როგორც ჩვენ, ისევე ებრძვის რუსეთის დემოკრატიას, როგორც ქართულ დემოკრატიას.

პირველი ჯგუფი შეიარაღებული მოხალისეებისა თბილისიდან უკვე გაემგზავრა. წავა სხვა ჯგუფებიც, თუ ომია, ომი უნდა იყოს. როცა შეიგნებენ რომ ომი არ შეიძლება, მაშინ დავჯდებით მოსალაპარაკებლად. მთელი ჩვენი საქმიანობა თავდაცვის ინტერესებზე უნდა იყოს გაანგარიშებული. ჩვენ ახლა გვიჭირს, თანხები არა გვაქვს, იარაღი გვაკლია. უნდა მივმართოთ მთელ ჩვენს მოსახლეობას, იმ ბიზნესმენებს, ვინც ფეხი მოიდგა, რომ დაეხმარონ ამ გაჭირვების ჟამს ჩვენს ქვეყანას რითაც შეუძლიათ. თუ თავდაცვაა — თავდაცვა უნდა იყოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ რით დაგვეხმარა, რა შემოიტანა, რაში დაიხარჯა თითოეული კაპიკი. თუ ასე მივუდგებით პრობლემას, გარწმუნებთ, ომს მალე დავამთავრებთ და მაშინ ყველა საკითხს მივხედავთ. ხანგრძლივად ვერც ჩვენ ვიომებთ და ვერც აფხაზები.

ეს უაზრო ომია. ისე უნდა ვქნათ, როგორც ნამდვილი ქართველებისა და აფხაზების ინტერესები მოითხოვს. ეს უნდა იცოდეს ყველამ. უნდა შეიგნონ იმათაც, ვინც იქ დგას, რომ ისინი მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრში არიან და თუ ასე ვიმოქმედებთ, მოკლე დროში შეგვიძლება ამ კრიზისიდან გამოვიდეთ და დავიწყოთ ნორმალური ცხოვრება. მაშინ უცხოეთის ბიზნესიც იმუშავებს, კრედიტებსაც მივიღებთ და ცხოვრება გაადვილდება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ილაპარაკა რუსეთთან ხელშეკრულების მზადების თაობაზე და აღნიშნა, რომ ამ საქმეში ყველა სამინისტრომ და კომიტეტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

დასასრულ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ახლად შექმნილ მინისტრთა კაბინეტს მიულოცა ის ნდობა, რომელიც გამოუცხადა მას ჩვენმა ხალხმა, პარლამენტმა, და გამოთქვა რწმენა, რომ მინისტრთა კაბინეტი იმუშავებს კოლეგიურად და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხალხის იმედი გაამართლოს.

მამულის დასაცავად

თავის მეომრებს გზავნის დივიზია „თბილისელი"

აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იარაღით დაცვის სურვილი გამოთქვა დედაქალაქის ბევრმა მცხოვრებმა. დივიზია „თბილისელის" მოხალისეთაგან შედგენილი პირველი ბატალიონი ერთი თვის განმავლობაში გადიოდა მომზადებას საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ოპერატიული პოლკის განლაგების ადგილზე.

2 დეკემბერს გაიმართა რესპუბლიკის დედაქალაქის მამაცი შვილების გაცილების ცერემონია. საზეიმოდ დაწყობილი ბატალიონის მეომრები დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, რომელმაც ბატალიონის სარდლობას გადასცა ხატი.

მოხალისეებს გზა დაულოცეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ, თბილისის მერმა ოთარ ლითანიშვილმა, პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ რუსლან მიქაბერიძემ.

სურათზე: ბატალიონის საზეიმო მწყობრში მისი მებრძოლები დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, და ბატალიონის მეთაურებს გადასცა ხატი, რომელიც მებრძოლებს ომში დაიცავს.

ბონდო დვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აზრი თავისუფალი იქნება

რეპორტაჟი პარლამენტის სხდომიდან

როგორც იქნა, პარლამენტმა დაამტკიცა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. სახელმწიფოს მეთაურმა დეპუტატებს ჯერ ის „ცნობისმოყვარეობის ინტრიგა" გაუხსნა, რომლის კვანძი ორი დღის წინ თვითონ შეკრა ამ თანამდებობაზე გერმანიაში სადოქტორო დისერტაციის დასაცავად მყოფი ანონიმური კანდიდატურის შესაძლო დასახელებით (იგი ყოფილა ახალგაზრდა კაცი ლადო ჭანტურია, რომელსაც კიდევ 5-6 თვე სჭირდება თურმე დაწყებული საქმის დასამთავრებლად და მერე ნებისმიერ ადგილზე გემსახურებითო), და შემდეგ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ცნობილი მეცნიერი ქალის თინათინ წერეთლის მოწაფე, 35 წლის **კონსტანტინე კემულარია** წარუდგინა.

ხმათა უდიდესი უმრავლესობით დაამტკიცეს იუსტიციის ახალი მინისტრი და — პირველი შეკითხვა ამოსუნთქვამდე:

— პირველი, რასაც ახლა განვიცდი, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა. ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ და ამ საქმეში უდიდესი ტვირთი იუსტიციის სამინისტროს უნდა დააწვეს.

ღირსეული კანდიდატურა იქნებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ ადგილზე უნდა დაესახელებინათ და მისი პასუხიც შთამბეჭდავია. დაგვიბრუნდება და ვითანამშრომლებთ ალბათ ისევე, როგორც მეც მზად ვიყავი მეთანამშრომლა ნებისმიერ ადგილზე.

— ელოდით?

— მართალი გითხრათ — არა. რამდენიმე თვეა ვმონაწილეობ საკანონმდებლო ნორმების შემუშავებაში, მაგრამ ასე თუ დადგებოდა საკითხი, არ მეგონა.

— რით დაიწყებთ მუშაობას, თუ გაქვთ უკვე განსაზღვრული?

— ჯერ გავეცნობი სამინისტროს, ძალიან გულმოდგინედ, თანაც ძალიან მოკლე დროში.

— არ არის ეს პატარა საქმე.

• • •

კორპორაცია თუ დეპარტამენტი? რომელი სტრუქტურული ფორმაა უმჯობესი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისთვის? თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარება სად უფრო იქნება შესაძლებელი? ყველა გამომსვლელი დემოკრატიისთვის იბრძოდა (წინააღმდეგი ვინ ან რატომ უნდა ყოფილიყო?), მაგრამ თითქმის ყველას თავისი წილი ეჭვი მოჰქონდა კორპორაციის საწინააღმდეგოდ.

სანამ ორსხდომიანი, დიდი ამპლიტუდის კამათი — „ბი-ბი-სის" მაგალითიდან პრივატიზაციის გავლით დემოკრატიული პრესის პრინციპებამდე — გრძელდება, ტელერეჟისორ **ნანა დევდარიანს**, დეპუტატს ვკითხოთ აზრი, რას ირჩევდა იგი, როგორც ამ კოლექტივის წევრი?

— პრობლემის კვანძს მაინც იქ არ ხედავენ, სადაც სინამდვილეშია. გარეგნულად თუ რამე შეიცვლება, არსიც შეიცვლება? რამდენიც უნდა ვიკამათოთ, ისეთ მარტივ ჭეშმარიტებამდე მივალთ, როგორიც პროფესიონალიზმია. ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, მოვალეა შეარჩიოს ისეთი ფორმა, რომელიც ყველას შესაძლებლობას მისცემს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პროფესიონალიზმი. ყველაფერს მოევლება, საპანიკო აქ არაფერია. არადა ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ დეპუტატთა გარკვეულ ჯგუფს სწორედ პანიკის გრძნობა აქვს. ვშიშობ, რომ ეს თავსმოხვეული არ იყოს ვინმესგან, ვისაც ეჩვენება, რომ რაღაც გამოუსწორებელი ხდება. კორპორაცია, საუკეთესო გაგებით, არის პროფესიის ნიშნით ადამიანების გაერთიანება. რას უფრთხიან? მაშინ ესეც უნდა თქვან.

— პარლამენტი კი კენჭს უყრის პირველად და დემოკრატიის დამკვიდრების მაგალითად... უარს ეუბნება ტელე და რადიოჟურნალისტებს აირჩიონ თავიანთი ხელმძღვანელობა...

ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბრწყინვალე კომპრომისული სვლა და პარლამენტი ბატონ **არჩილ გოგელიას** ირჩევს ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელად (ასევე მოიქცეოდა კოლექტივიც).

— გილოცავთ! რას ფიქრობთ ამოსუნთქვამდე?

— ვიდრე დამამტკიცებდნენ, მანამდეც ვფიქრობდი, რომ ტელევიზია, უპირველეს ყოვლისა, ცივილიზებული ტელევიზია უნდა გახდეს. ამისთვის კი საჭიროა — ტექნიკური აღჭურვა, გონიერება და ახალგაზრდობის მოზიდვა. ისიც უნდა გითხრათ, რომ ყველაფერი ეს ერთდროულად უნდა გაკეთდეს, ახალგაზრდული ენთუზიაზმისა და გამოცდილების ნაზავის საფუძველზე.

ტელევიზიისთვის უზენაესია კანონი პრესის შესახებ, ჩვენთან შეიქმნება ისეთი სტრუქტურა, რომ შეუძლებელი იქნება დიქტატი, ჩამოყალიბდება თავისუფალი ტელევიზია, იქნება თავისუფალი აზრი, რისთვისაც ჩემს კოლეგებთან ერთად მთელი ცხოვრების მანძილზე ვიბრძოდი.

მოულოდნელი ფუნქცია

პოლიტიკური პარტიები პარლამენტის სხდომებზე კამათის (ზოგჯერ უმწვავესის) გარდა, ძალიან სასარგებლო, ერთგვარად მოულოდნელ, შეიძლება მათივე წესდებით გაუთვალისწინებელ საქმიანობას ეწევიან.

„ქარტია-91"-ზე ვამბობ კონკრეტულად.

ორიოდე დღის წინ თბილისის ზღვაზე თავშეფარებულ აფხაზეთიდან ლტოლვილებს დახმარების ხელი გაუწოდეს.

— მეც და, საერთოდ, „ქარტია-91"-ის მთელ ხელმძღვანელობას პურის რიგებთან ჩავლაც კი გვაწუხებს, — ამბობს ბატონი **თედო პაატაშვილი**, — უჭირს ხალხს. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მეტად აფხაზეთიდან ლტოლვილებს უჭირთ. ყველა ჩვენგანი, როგორც ადამიანი, როგორც ქართველი და როგორც მამაკაცი, თავს დამნაშავედ ვგრძნობთ იმის გამო, რაც აფხაზეთში მოხდა. ტრაგედია, რომელიც აქ არაერთხელ დატრიალდა, მარტოოდენ არაორგანიზებული არმიისა და საერთო არაორგანიზებულობის ბრალი არ იყო. მე მგონი, რომ იქ პოლიტიკური შეცდომებიც გვქონდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც ყველა ჩვენგანის ბრალია.

ჩვენმა საქალაქო და ახმეტის ორგანიზაციებმა ავუტანეთ თბილისის ზღვაზე ლტოლვილებს ერთი მანქანა ბოსტნეული, ხილი, შოთი პურები, ცოტა ჩურჩხელა და კაკალი ბავშვებისათვის; თბილი ტანსაცმელიც შევაგროვეთ ოჯახებში, და 30 ათასი მანეთი.

მათ პრობლემებშიც გავერკვიეთ: აწუხებთ, უწინარესად ტრანსპორტობა (ბავშვებმა სკოლაში უნდა იარონ), უქმობა და არა აქვთ გათბობა. იმედი გვაქვს, ამასაც მოვუგვარებთ.

აი, ეს იყო სულ: მოყვასისთვის ხელის გაწვდენა და ზემოთქმული შეცდომების ნაწილობრივი გამოსყიდვის სურვილი. მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იყო პოპულისტური ნაბიჯი, როგორადაც ზოგიერთს სურს დაინახოს.

აფხაზეთის პრობლემასავით მძიმე და მნიშვნელოვანი საკითხი დღეს საქართველოში არ დგას. არც ისეთი მძიმე და უხეში პოლიტიკური შეცდომები, ისეთი ტრაგიკული შეცდომები, რაც აქ გვქონდა, სხვაგან არ დაგვიშვია.

აფხაზეთის პრობლემა იმდენად მრავალწახნაგოვანი და ისეთი მნიშვნელობისაა, რომ ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის, საზღვრებს სცილდება და საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვან პრობლემად ყალიბდება.

როცა პარლამენტში ჩაცხრება, ასე ვთქვათ, თანამდებობრივი ვნებათა ღელვანი, ჩვენ გამოვალთ მოხსენებით ამ საკითხზე. პარლამენტში აუცილებელია ზოგადპოლიტიკური დისკუსიები, რათა გამოიკვეთოს ქვეყნის პოლიტიკური კურსი, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ცალსახად არა ჩანს.

გალინა ხარებაშვილი,
არმაზ სანებლიძე,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტები.

მრეწველობის გიგანტის გიგანტური პრობლემები

რა იქნება ხვალ?!

ანუ თბილისელ მაუდკამვოლელთა გასაჭირი

მანანა ბეგიაშვილი,
მარინე ბაბუნაშვილი.

როდესაც საქართველოს მსუბუქ მრეწველობაზე ვლაპარაკობთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს სამი გიგანტი — გორის ბამბეულის, ქუთაისის აბრეშუმის და თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატები. არ ვიცით, სხვაგან როგორ წარიმართებოდა საწარმოო პროცესები, ამ უკანასკნელში კი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. ხმა გავარდა — „მაუდში" კარგად ცხოვრობენო. ბევრი ითქვა და დაიწერა მემაუდეებზე და სრულიად სამართლიანადაც. არადა, რამდენიმე წლის წინათ კომბინატი გაკოტრების პირას იყო. საწყობებში გაუსაღებელი პროდუქცია ჩარჩა, ზენორმატიულმა ნაშთებმა მილიონები შეადგინა. ასეთ ვითარებაში მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე მამია თენიეშვილი „დააწინაურეს" და იძულებითი ნებაყოფლობის წესით კომბინატის დირექტორად დანიშნეს. იქნებ, ამ ფაქტზე აქცენტირებისაგან თავი შეგვეკავებინა, მაგრამ ბატონ მამიას თითქოს დაებედაო, როგორც კი სასწაულის ტოლფასი გამარჯვება მოიპოვა კოლექტივმა, კვლავ „დააწინაურეს" უკან — სამინისტროში და კვლავ იძულებითი ნებაყოფლობის წესით. იყო ემოციები, პროტესტის სხვადასხვა ფორმა, მაგრამ მაუდკამვოლელთა ხმა ვერვინ ისმინა.

ახალმა ხელმძღვანელმა, ვისთვისაც ცნობილი იყო კოლექტივის განწყობილება და ვინც ამ მიზეზის გამო თავდაპირველად თავიც შეიკავა კომბინატში მოსვლაზე, ენერგიულად დაიწყო, ახალი მუშაკებიც ამოიყენა გვერდში, ახალი კავშირების ძიებასაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, პირადი კონტაქტებიც გამოიყენა, მაგრამ... კომბინატი უკვე კარგა ხანია სრული დატვირთვით აღარ მუშაობს, მშრომელთა ერთი ნაწილი უხელფასო შვებულებაში გაუშვეს. ამბობენ, ექვსი თვით „დავიკეტებითო". ავი ენები იმასაც ჩურჩულებენ, მთლად გვაუქმებენ, კომბინატი უკვე გაყიდულიაო.

კულუარებში გაგონილი: რაც ბატონი მამია წავიდა, მას მერე სიკეთე აღარ ღირსებია „მაუდს".

სიმართლის რა პროცენტი ძევს ამგვარ პესიმისტურ პროგნოზებში რა მოგახსენოთ, ერთი კი ფაქტია — კომბინატს უკვე რამდენიმე თვეა შემცირების ავბედითი ლანდი დასტრიალებს, რასაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერ თანაპროცესად თვლიან, დამცავ მექანიზმზე კი დუმილს ამჯობინებენ.

• • •

მელიტა რევაზიშვილი (კომბინატის მთავარი ეკონომისტი):

ჩვენთან ჯერ კიდევ 1986 წლიდან დაიწყო სოციალისტური სტრუქტურების ნგრევა. უაღრესად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული შრომის ანაზღაურების ტარიფების შეცვლა. ბიჭი იყავი, რაიმე შენს ჭკუაზე გაგეკეთებინა. ყოველი ინიციატივა შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო არა მარტო ხელმძღვანელისთვის. ჩვენ მაინც გავრისკეთ. შედეგებიც საკმაოდ სოლიდური გვქონდა. საწარმოებს დამოუკიდებლობა მიენიჭათ, ამით საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით.

* * *

დიახ, აქ გობელენების ქსოვა დაიწყეს. ნიმუშები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგზავნა, თითქოს საზღვარგარეთული შეკვეთაც უნდა გაჩნდეს, თითქოს ვალუტაც უნდა შემოვიდეს, მაგრამ..

უშანგი ვარდიაშვილი (კომბინატის დირექტორი): მიმაჩნია: რომ სიძნელეები დროებითია. ისინი დღევანდელი ურთულესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შედეგია, რადგან საქართველო არ გაერთიანდა დამოუკიდებელ რესპუბლიკათა თანამეგობრობაში და სრული ეკონომიკური ბლოკადის პირობებში მოექცა. განსაკუთრებით გართულდა ნედლეულით მომარაგება. ხელოვნური ბოჭკოს შესაძენად 80 მილიონი მანეთი გვქონდა გაგზავნილი ტვერში, კლინში, ივანოვოში. თანხა უართან ერთად უკანვე დაგვიბრუნდა.. იგივე ბედი ეწია 34 მილიონ მანეთს, რომლითაც უზბეკეთში ბამბა უნდა გვეყიდა. მილიონი მარტო ბროკერმა წაიღო, ბამბის ფასი კი ამასობაში გაორმაგდა. რუსეთიდან მილიონი მანეთის ქიმიკატები უნდა შემოგვეტანა, საბაჟოთ 10 მილიონი მოგვთხოვეს! ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს თანხები ბანკის მოკლევადიანი სესხებია, რომელთაც 50-60 პროცენტი მიაქვს.

• • •

თუ ობიექტური ვიქნებით, მემაუდეთა გასაჭირი მარტო ხელმძღვანელობის შეცვლას, ალბათ, არ უნდა დავაბრალოთ. პირდაპირი კავშირების მოშლამ უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა საწარმოები. ყველა სიკეთესთან ერთად ნდობის მომენტიც დაიკარგა. იქეთა მხარე ჯერ ფულის ჩარიცხვას ითხოვს, მერე საქონელს პირდება, აქეთა მხარეს არც თუ უსაფუძვლოდ ეშინია, ფული ან იქით გაგზავნილი აქაური პროდუქცია რესპუბლიკის ვალებში არ გამიქვითონო და ჯერ საქონელი მომეცითო — ჯიუტობს. არადა, მარტო გერმანიამ ათიათასობით მეტრი ქსოვილი შეუკვეთა კომბინატს, თითოეულ მეტრში 5-6 დოლარს იძლევა. ხელშეკრულების დადება კი უსასრულოდ ჭიანურდება, მიზეზი? ბიზნესი უპირობას ვერ ითმენს; ვერ გადაგზავნი ქსოვილს, თანაც ზუსტად დათქმულ ვადებში, ჯარიმა გაგვწყვეტს წელში.

თუმცა გერმანიასთან ზუსტ ვადებში კონტაქტებისა რა მოგახსენოთ, როცა აგერ, ყურისძირიდან — გურჯაანიდან ყურძნის შემოტანა ვერ ხერხდება. საწვავი იმდენად გაძვირდა, რომ ყურძენზე მეტი მისი ტრანსპორტირება ჯდება. ასეთ ვითარებაში საშხაპეების მშენებლობაც უნუგეშოდ გაჭიანურდა. რას იზამ, ომია და ასეთ შეფერხებებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ. თუმცა ეს მემაუდეებთან თუ წამოგცდა, იმწამსვე მოგახლიან — შარშან ზამთარში ომი ჩვენთან, რუსთაველზე იყო, მაგრამ დენიც გვქონდა, ნედლეულიც, მეცამეტე ხელფასიც და პრემიაც, სააღდგომოდ საჩუქრებიც კი მივიღეთო.

• • •

ნათელა ვიგლიანი (მაუდის წარმოების მუშა): კომბინატში კვლავ დაძაბული დღეებია. სიმძლავრეების ერთი ნაწილიღა მუშაობს. ამან, რა თქმა უნდა, საწარმოს ეკონომიკაზე გავლენა იქონია. გულუბრყვილობა იქნება იმის მტკიცება, რომ ხელოვნური „საცობის" პირობებში წინა ხელმძღვანელობის წინაშეც არ დადგებოდა მსგავსი პრობლემები, მაგრამ ბატონი მამია გამოსავალს უთუოდ გამონახავდა, რაც ადრეც არაერთგზის მომხდარა. კოლექტივის თავკაცის უპირველესი როლი და მისიაც ხომ სწორედ ესაა. მთელი ეს პერიოდი მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივი ზნეობრივი კომპრომისის პირობებში ცხოვრობს. კოლექტივის ინტერესების შესაბამისად პრივატიზაციაზე საერთოდ აღარაა ლაპარაკი. ბატონი მამიას კომბინატიდან წაყვანა დანაშაულის ტოლფასია. კიდევ ერთი ძლიერი საწარმო დაკარგა საქართველომ. ჩვენ პიროვნულ სიმპათიებზე არ ვაკეთებთ აქცენტს, მთავარი საერთო საქმის ინტერესებია.

ასეა თუ ისე კომბინატის ხვალინდელი დღე მთლად იმედიანსხივიანად ვერ გამოიყურება. ამას წინათ ოპერატიულ თათბირზე უკვე აშკარად ითქვა საწარმოს სრული გაჩერების შესახებ.

• • •

მიხეილ ბახტაძე (კომერციული ცენტრის დირექტორი): ჩვენს წინაშე მდგომ პრობლემებს დაკვირვებულად უნდა შევხედოთ. ერთი, რომ პოლიტიკური დესტაბილიზაციის პირობებში ეკონომიკის სწორად მართვა ჭირს, მეორეც, საბაზრო ეკონომიკის კანონებით ცხოვრების გამოცდილება არ გაგვაჩნია. ჩვენთან გაცილებით გვიან „აუშვეს" ფასები, ამიტომ სანედლეულო მარაგის შექმნა ვერ შევძელით, ვერ გამოვიყენეთ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი საწარმო თითქმის მთლიანად შემოტანილი ნედლეულით მუშაობს, გასაგები გახდება შექმნილი მძიმე სიტუაცია. ალბათ საკითხი ასეც უნდა დადგეს, რამდენად რეალურია ჩვენი კომბინატის არსებობა ასეთ პირობებში? უნდა მოწესრიგდეს საბანკო ურთიერთობანი, ხელფასი უნდა შეესატყვისოს პროდუქციის ღირებულებას. თუ ვიმოქმედებთ გამიზნული ღონისძიებებით, ავამაღლებთ პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ალბათ, შევძლებთ კრიზისიდან თავის დაღწევას.

• • •

ამ მძიმე ვითარებაშიც კომბინატი ტრადიციული ქველმოქმედების პრინციპს არ ღალატობს: 500 ათასი მანეთი თავდაცვის ფონდში გადაირიცხა, იმდენივე გადაეცა მილიციის დაღუპული თანამშრომლების ოჯახებს, სოლიდური ფულადი დახმარება გაეწიათ აფხაზეთში უსახლკაროდ დარჩენილთ, მათვე გაეგზავნათ ნახევარი მილიონი მანეთის თბილი ტანსაცმელი, კომბინატთან არსებულმა საბავშვო ბაღმა აფხაზეთიდან ლტოლვილი პატარები შეიფარა...

და მაინც, თითოეული მუშა შიშით შეჰყურებს მომავალს. რა იქნება ხვალ? — აი, კითხვა, რომელსაც გადაუდებელი პასუხი ესაჭიროება და რომელზეც აქაური ხელმძღვანელობა ჯერჯერობით სანუგეშოს ვერაფერს ამბობს. ამიტომაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა ნოსტალგია წინა ხელმძღვანელის მიმართ, რაც უნდა ვამტკიცოთ, გართულებები პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ, სსრკ-ს დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია, რეალობას ვერსად გავექცევით — გაკოტრების პირას მდგარი საწარმო მოგებაზე გავიდა, დღეს კი ყოველმხრივ წელგამართული კომბინატი დახურვის საშიშროების წინაშე დგას. მოდი და, ნუ ირწმუნებ პიროვნების როლს. შენობა იგივეა, ტერიტორია — იგივე, ხალხი — იგივე, საწარმოო საშუალებებიც — იგივე. მაშ, რაღაშია საქმე? ისე, კაცმა რომ თქვას, ნუთუ იქ, სადაც საწარმოსა და კოლექტივის ბედი წყდება, ასე ხელწამოსაკრავად უნდა იყოს დირექტორის გადაყვანა-გადმოყვანის საკითხი? ნუთუ დარგის მინისტრი ვერ უნდა წყვეტდეს რიგითი საწარმოს ხელმძღვანელის ბედს? ნუთუ იმის გარჩევა არ უნდა ხდებოდეს, ვის სჭირდება კოლექტივს? თუმცა დღესაც არიან პიროვნებები, ადამიანს „რატომ კარგი აგიგიას" დანაშაულად რომ უთვლიან და გემრიელ ლუკმას მიდარაჯებულნი არარად აგდებენ ათასების ბედსა და აზრს.

ბატონი მამია თენიეშვილის კოლექტივიდან წაყვანა იმგვარი მეთოდით განხორციელდა, რომ ნებსით თუ უნებლიედ ეჭვი დაიბადა და საფუძვლიანადაც. საკვირველი ის იყო, რომ მაუდ-კამვოლელთა ჯერ ერთკვირიანი, შემდეგ ორდღიანი გაფიცვა არც დაფიქსირდა, არც შეფასდა, რეაგირებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს მაშინ, როცა კინოსტუდიაში ანალოგიური სიტუაცია გაიშიფრა და დაიგმო კიდეც სრულიად სამართლიანად. საკუთარი დირექტორისა და თავიანთივე უფლებების დასაცავად აზვირთებულ ხალხს თითიც დაუქნიეს და ვიღაც-ვიღაცეები შეაშინეს კიდეც (სულო ცოდვილო, ამ სტრიქონების ავტორებსაც კარგა გვარიანად უქნიეს თითები და ადგილის დაკარგვითაც დაემუქრნენ). ბოლოს და ბოლოს ახლა მაინც კანონიერი ხელისუფლება გვყავს, რომელიც, ალბათ, მარტო ამერიკის საელჩოს პრეზენტაციაზე არ იზრუნებს, მაუდ-კამვოლში მოსასვლელად და აქაურთა მოსასმენადაც მოიცლის.

განგაშის ზარი

შაქარი... თოვლქვეშ?!

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

გაზაფხულზე, როცა გორის რაიონში შაქრის ჭარხალი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაითესა 850 ჰექტარზე, მეურნეობათა თავკაცებმა შვებით ამოისუნთქეს. „მთავარია ახლა ნათესებს რწყვა და დამუშავება არ მოვაკლოთ და მოსავალი ზღვად მოასკდებაო," — ამბობდნენ ისინი.

მოსავალი ჩინებული მოვიდა, დადგა ჭარხლის აღებისა და აგარის შაქრის კომბინატში გადაზიდვის საპასუხისმგებლო პერიოდი. არსებითად გორული შაქრის ჭარხლის დროულ გადატვირთვაზე იყო დამოკიდებული კომბინატის გამართული მუშაობა.

გრძნობდა რა შაქრის ჭარხლის ტრანსპორტირებაში მოსალოდნელ დაბრკოლებებს, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველომ დახმარებისთვის მიმართა კონცერნ „საქნავთობპროდუქტს" — გამოეყო აღნიშნული საჭიროებისათვის 100 ტონა დიზელის საწვავი. კონცერნის თავკაცმა გ. ჭეჰმარიაშვილმა გორელებს დახმარება აღუთქვა და განკარგულებაც გასცა — ხაშურის მაგისტრალურ ნავთობპროდუქტსადენის სამმართველოს გადაეტვირთა გორში დიზელის საწვავი, საამისოდ კონცერნმა ცარიელი ვაგონების გამოძებნაც ითავა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი ეს ცარიელი დაპირება ყოფილა.

ვაგონების შოვნაზე ისევ გორელებმა იზრუნეს, იშოვეს კიდეც, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ხაშურში გაგზავნილმა ვაგონებმა სამტრედიაში ამოჰყო თავი. ისევ დატრიალდნენ გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკები და 11 ნოემბერს ხაშურის მაგისტრალური ნავთობპროდუქტსადენის სამმართველოს სამი ცარიელი ვაგონი იშოვეს.

— სამმართველოს დიდი დაინტერესება არ გამოუჩენია ამ საშური საქმის მოგვარებით, — მითხრა გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ შალვა კეჩხუაშვილმა, — გადიოდა დღეები, შეპირებული დიზელის საწვავი კი არ ჩანდა.

ამასობაში მინდვრად უპატრონოდ დარჩენილი, რის წყალობით ამოღებული შაქრის ჭარხლის გორები შრებოდა და უხეშდებოდა, კარგავდა სასაქონლო სახეს. ამას დაემატა შაქრის ნედლეულის (რომელიც ამავე დროს პირუტყვის ყუათიანი საკვებიცაა) მასობრივი დატაცება... გორში დიზელის საწვავს ელოდებოდნენ, აგარის შაქრის კომბინატში — შაქრის ჭარხალს.

— იმის გამო, რომ ხაშურის, გორის, ქარელის, კასპის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა საჭირო ოდენობის ნედლეული ვერ მოგვაწოდეს, — ამბობს აგარის შაქრის კომბინატის დირექტორი თამაზ თხელიძე, — ჭარხლის გადამამუშავებელი საამქროები გავაჩერეთ. ამ იძულებითი გაჩერებით გამოწვეულმა ზარალმა ათიათასობით მანეთი შეადგინა. კომბინატის ხელახალი ამუშავება მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოხერხდა.

ორი კვირა დასჭირდა ხაშურიდან გორში დიზელის საწვავის გამოგზავნას. ამასობაში გაავდრდა, აცივდა და მინდორში დარჩენილი შაქრის ნედლეული თოვლის ქვეშ მოჰყვა.

ახლა საწვავი არის, მაგრამ სველ, ატალახებულ ფერდობებზე მუხლუხა ტრაქტორსაც კი უჭირს შესვლა, რომ ჭარხალი გამოიტანოს.

ამასობაში მეურნეობებში საშემოდგომო თესვა დაიწყო და აქაური მხვნელ-მთესველები კვლავ საწვავის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, დასათესი კი 5000 ჰექტარია.

წერილი დავწერე და რედაქციისათვის ტელეფონით გადაცემას ვაპირებდი, რომ რადიოთი გადმოსცეს — ბათუმს ჩინეთიდან შაქრით დატვირთული გემი მოადგაო.

საოცარი ხალხი ვართ: შაქარს ჩინეთიდან ვეზიდებით, ჭარხალი კი აგარაში ვერ ჩაგვიტანია. ასეთ უყაირათობას სოციალისტური ეკონომიკაც კი ვერ ჰგუობდა, ჩვენ კი გვინდა იგი საბაზრო ეკონომიკას მოვარგოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო ფოსტიდან

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

არ გვაქვს ელექტროდენი, არ მუშაობს რადიო. სატელევიზიო გადაცემასაც ვერ ვღებულობთ. იმედით შევყურებთ გაზეთებს, რომ გავიგოთ, რა ხდება რესპუბლიკაში. სხვა გაზეთებზე აღარაფერს ვამბობ, მათი არსებობაც აღარ მახსოვს... მაგრამ „საქართველოს რესპუბლიკა" ხომ ჩვენთვის ინფორმაციის უშრეტი წყაროა, რომლის ყველა ნომერი ჩვენამდე ვერ აღწევს. ანდა როგორ მოაღწევს, როდესაც ჩვენთან ზოგჯერ ფოსტა 10 დღეში ერთხელ მოდის.

რატომ ხდება ასე? ნუთუ ისედაც გაზრდილი ფასების პირობებში ასე უნდა ატყუონ ხელმომწერი? ჩვენს რეგიონში კი მათი რიცხვი ორასამდეა.

გაზეთის ნომრების დაკლებაზე შესაბამისი სამსახურიდან ერთი და იგივე პასუხს ვღებულობთ — გაგზავნილი გვაქვს დეპეშა.

ნუთუ ერთხელ მაინც არ მოვიდა ამ დეპეშის პასუხი?

გთხოვთ დახმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ხელმომწერებს დაკარგავს, მით უმეტეს ახლა, როდესაც მისი ფასი გაიზარდა.

ლია ნიკოლაიშვილი,
ცაგერის რაიონი, სოფელი ღვირიში.

უკვე მეორე წელი იწურება, რაც ავტობუსი № 1, რომელიც აკავშირებს დილმის მასივს ვაკესთან, აღარ ჩანს. ეს იყო ერთადერთი ტრანსპორტი, რომელიც ემსახურებოდა ვაკეში და კერძოდ, ბაგებში განლაგებულ ობიექტებს: საქართველოს აკადემიკოს ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სახელმწიფო კომერციულ კონცერნ „საქსოფლნაყოფიერებას", მცენარეთა დაცვის რესპუბლიკურ სადგურს, რესპუბლიკურ გაერთიანება „კარანტინს", ტყეპროექტს, სპორტის დეპარტამენტს და მთელ რიგ სხვა ობიექტებს.

ვითხოვთ რედაქციის ჩარევას და დახმარებას, რომ ავტობუსი დილის საათებში მაინც დაგვინიშნონ, რათა სამუშაოზე დროულად გამოვცხადდეთ.

ი. შავლიაშვილი,
საქართველოს აკად. ლ. ყანჩაველის სახ. მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ჯავახეთის რომელიმე სოფელში ქალს რომ გაათხოვებდნენ, მაშინვე იმას იკითხავდნენ: სოფელი ბაღიანია თუ არა. თუ დადებითად უპასუხებდნენ, იტყოდნენ, კაი ბედი ჰქონია მაგ ქალსაო.

ჰოდა, ჩვენი მშობლიური სოფელი ჩუნჩხაც ბაღიანია და სწორედ ამით არის გამორჩეული რაიონის სოფლებს შორის...

მართალია, თითქმის ყველა სოფელს აქვს ხეხილის ბაღები, მაგრამ ჩუნჩხას ბაღები სულ სხვაა. ჩვენს წინაპრებს ბაღების გასაშენებლად ქარისა და სიცივისაგან დაცული ღრმა ღელე თბილი ფერდობი შეურჩევიათ, რომელსაც კამკამა წყაროები დღენიადაგ გრილ ცვარ-ნამს აპკურებენ. აქვე მოჩქუს მდინარე ფარავანი...

ბაღებში მივდივართ, ხშირად გაიგონებთ ჩუნჩხელების ხალისიან შეძახილებს, მაგრამ აქვე შემოგესმებათ ხანდაზმულთა სევდის მომგვრელი სიტყვებიც — ეჰ, შვილო, მომენატრა ჩვენი ბაღები. ვაგლახ, რომ ვერ ვახერხებ იქ ჩასვლას. მუხლები მღალატობენო.

წინათ საურმე გზით შეეძლოთ მოხუცებს იქ ჩასვლა, მაგრამ იგი უყურადღებობით მოიშალა, თან ახლა აღარც ურემია და აღარც ხარი... სოფლიდან საკმაოდ დაშორებულ ბაღებში კლდე-ღრეში გამავალი ბილიკით ჩასვლა კი ძნელია. აკი ამიტომ სოფლის მესვეურებმა იფიქრეს კიდეც საავტომობილო გზის გაყვანა. მაგრამ ვერ გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა თოვლის დნობა და ნიაღვარია და დამდნარი თოვლის და გამუდმებული წვიმების შედეგად ნიაღვრებმა ეს ახალი გზაც მთლიანად დააზიანა. ასე რომ, დიდძალი თანხები წყალში ჩაიყარა.

ბაღებს გამუდმებული ზრუნვა სჭირდება. ჩვენ კი უგზოობის გამო ვერ ვუვლით. ვფიქრობთ, სხვა გამოსავალი არ არის, უნდა აღდგეს ძველი საურმე გზა, რომელიც შედარებით დაცულია სტიქიური მოვლენებისაგან.

იქნებ ღირდეს ამაზე დაფიქრება?

კ. ჯინჭარაძე,
ნ. ნაისელი.
ახალქალაქის რაიონი, სოფელი ჩუნჩხა.

ჭიათურის ერთ-ერთი განაპირა სოფლის ზედუბნის მცხოვრებთა გაჭირვება მალაპარაკებს. აქ შეიძლება კაცი ისე მოკვდეს, რომ ვერ ნახოს ტელეგადაცემები. და ახლა, მით უმეტეს დღეს, როცა საქართველოში ასეთი დაძაბული მდგომარეობაა, განა შეიძლება ტელევიზორები დუმდეს?

იქნებ სოფელ ზედუბანში როგორმე დადგან მცირე სიმძლავრის ტელეტრანსლატორი, რათა მისმა მცხოვრებლებმა ჭიათურის ტელესადგურიდან გადაცემები მიიღონ.

ოთარ გუდაძე,
სოფელ ზოდის საკრებულოს დეპუტატი.

ძნელბედობის პერიოდი უდგას საქართველოს. უტევს გარეშე და შინაური მტერი. ვინ — ფარული გზით და ვინ — აშკარად ცდილობს დაარღვიოს საქართველოს მთლიანობა, ხელყოს მისი სუვერენიტეტი; წაართვას და მიითვისოს მამა-პაპათა სისხლით მორწყული მიწა.

როგორც ყოველთვის, ახლაც განსაცდელმა ერთ მუშტად შეკრა ქართველი ხალხი. ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო ლიმილის ბიჭები საკუთარი მკერდით იცავენ საყვარელი სამშობლოს თითოეულ გოჯ მიწას, ეწირებიან მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

საჭიროა მამულისათვის თავდადებულ, მისთვის თავგანწირულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავყოფა. სამისოდ აუცილებელია დაწესდეს საბრძოლო ჯილდოები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენენ სამშობლოს მამაც დამცველთა გმირობას, ვაჟკაცობას და თავდადებას.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს, მისი თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის თავდადებულ ადამიანებს სულმნათი თამარის ორდენი უმშვენებდათ მკერდს. ასევე დაწესებული იყო ქართველთა ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი. მას ჰქონდა წარწერა: „ქართული ლეგიონი, 1915". ცენტრში აღბეჭდილი იყო თამარ მეფის სურათი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს პირველ ჯილდოს შრომის წითელი დროშის ორდენი წარმოადგენდა, რომელიც განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცემოდა როგორც მოქალაქეებს, ასევე საწარმო-დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მომავალში შეიძლება რამდენიმე ორდენი დაწესდეს. მათ შორის ერთ-ერთი იქნება სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდო. მისთვის სახელის მიკუთვნება ვფიქრობ, მთელი რესპუბლიკის საქმეა. კონკურსის გამოცხადებით თუ სხვა ფორმით უნდა შეირჩეს, გამოინახოს უმაღლესი ჯილდოს შესატყვისი სახელწოდება, შეიქმნას ორდენის ნიმუში, რომელიც გამოიყენება ჯილდოდ, როგორც სამხედრო, ისე შრომით საქმიანობაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და გმირობისათვის.

სამშობლოს განსაკუთრებით საპატიო და ძვირფას ჯილდოს შეიძლება ეწოდოს დავით აღმაშენებლის, თამარის, შოთა რუსთაველის და სხვა მამულიშვილთა სახელები, ან შეიძლება მივაკუთვნოთ „საქართველოს" ან „ივერიის" სახელი.

ასევე საჭიროა მიღებული იქნეს დადგენილება (ალბათ, ახლად არჩეული პარლამენტი მიიღებს ამას) საქართველოს გმირის წოდების დაწესების შესახებ. ხოლო გმირის წოდებამინიჭებულთათვის უნდა დაარსდეს სპეციალური მედალი — ოქროს ვარსკვლავი. ალბათ, უპრიანი იქნება საბჭოთა კავშირის გმირის მსგავსად, საქართველოს გმირს გადაეცეს როგორც სამშობლოს უმაღლესი ჯილდო, ისე გმირის ოქროს ვარსკვლავი და სიგელი გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

სამშობლოს ჯილდოების დაწესება ნიშნავს საყვარელი საქართველოს, მშობელი ხალხის კეთილდღეობისათვის, თავდადებისა და ერთგულების აღიარებას. ამით დავეხმარებით მომავალ თაობებს სწორად გაიაზრონ მამულისათვის დაცემულთა და მისთვის თავდადებულ ადამიანთა გმირობის სიდიადე, მოემზადონ იმისათვის, რათა არა მარტო აითვისონ უფროსი თაობების გამოცდილება, წინაპართა გმირული ტრადიციები, არამედ გაამდიდრონ კიდეც იგი საკუთარი წარმატებებით.

აკაკი ზოიძე,
ბათუმი.

თბილისის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. 1992 წლის 1 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სანიტარიული ექიმის ბატონ ნიკოლოზ შავდიას ხელმოწერით გამოქვეყნდა დოკუმენტი — „კვების პროდუქტებში ნიტრატებისა და რადიონუკლიდების შემცველობის მაქსიმალურად დასაშვები ნორმების შესახებ". ეს დოკუმენტი უდავოდ მნიშვნელოვანია ყოველდღიურ საქმიანობაში იმ ორგანიზაციების პასუხისმგებელი და რიგითი მუშაკებისათვის, რომლებიც მოსახლეობას სურსათით ამარაგებენ და კვების პროდუქტებით სავაჭრო მომსახურებას უწევენ. დოკუმენტში მკაცრად არის მითითებული, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოვაჭრე ორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება და სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ ეკოლოგიურად დაბინძურებული პროდუქტების შემოტანისა და მათი რეალიზაციის აღსაკვეთად. უმეტესი სავაჭრო ორგანიზაციების მიერ არასწორად არის გაგებული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება „ვაჭრობის თავისუფლების შესახებ". ვაჭრობის თავისუფლება არ ნიშნავს ვისაც როგორ უნდა, ან რითაც უნდა, იმით ივაჭროს. დადგენილებაში გასაგებად არის განსაზღვრული, რომ ყოველგვარი ვაჭრობა დასაშვებია მხოლოდ სანიტარიული წესებისა და ეკოლოგიური ნორმების მკაცრი დაცვის პირობით, რომ პასუხისმგებლობა რეალიზებული საქონლის ხარისხისათვის ეკისრებათ მოვაჭრე ორგანიზაციებს. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ კვლავ ხსნიან კომერციულ მაღაზიებსა და ჯიხურებს სანეპიდსადგურებთან შეთანხმების გარეშე. სანეპიდსადგურები, რა თქმა უნდა, არ მოქმედებენ თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვის ან შეზღუდვის პრინციპით, მაგრამ ასეთმა ქაოსურმა ვაჭრობამ შეიძლება მოსახლეობა საკვებით, მასობრივ მოწამვლამდე ან ინფექციურ დაავადებამდე მიიყვანოს.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების მიმდებარე ტერიტორიები სწორედ ის ადგილებია, სადაც საკვებ პროდუქტებს სანიტარიული მოთხოვნების უხეში დარღვევით ყიდიან. იყიდება ყოვლად შეუმოწმებელი კვების პროდუქტები. რას არ ნახავთ აქ: უსუფთაო ქაღალდში გახვეულ ამძაღებულ კარაქს, ვადაგასულ სასაქონლო სახედაკარგულ უამრავ სხვადასხვა სახის კონსერვებს, ბავშვთა საზრდოს ნარევს, ყოვლად უხარისხო რძის ფხვნილს, საეჭვო გარეგნობისა და სუნის ძეხვს, კუპატს, ვეტერინარულად შეუმოწმებელ ღორისა და საქონლის ხორცს, მრავლად არის ყოველნაირი ბოსტნეული. იქვე, ბაზრების მიმდებარე ტერიტორიაზე იყიდება რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი კვების პროდუქტები: შაქარი, მცენარეული ზეთი, თაფლი, კვერცხი, კარაქი, ერბო, ყველი, მარგარინი, რომლებზეც რადიაციული გამოკვლევა ჩატარებული არ არის. სწორედ საკოლმეურნეო ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებია თბილისის მომხმარებელთა საზოგადოებაში შემავალი მაღაზიების შემსყიდველების სარბიელი. აღნიშნული მაღაზიების შემსყიდველები ყიდულობენ ყოვლად შეუმოწმებელ ყველა სახის კვების პროდუქტებს და შესყიდული პროდუქციის რეალიზაციას კოოპვაჭრობის სისტემაში ახდენენ.

საჭიროა სათანადო სამსახურებმა მიიღონ შესაბამისი გადამჭრელი ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში გავრცელდება ინფექციური დაავადებები, რასაც შეიძლება უმძიმესი შედეგი მოჰყვეს.

რ. ნიკოლაიშვილი,
ფიზიკოსი.

კარგად გვახსოვს შარშანდელი ხელის მოწერის კამპანია გაზეთებზე, ფასებიც დღევანდელთან შედარებით საოცრად დაბალი იყო, მაგრამ რად გინდა. როგორც წესი, გამოიწერ და არ მოგდის. უსაყვედურებ რედაქციას, რედაქცია „საქპრესს" აბრალებს, „საქპრესი" განყოფილების ხელმძღვანელებს ემუქრება სამუშაოდან მოხსნით, უფროსის მთელი რისხვა კი ფოსტალიონს ატყდება. არადა, ყველაზე ნაკლებ დამნაშავე სწორედ ეს უკანასკნელია.

შარშან გამოვიწერე უამრავი ჟურნალ-გაზეთი, მათგან მთელი წლის განმავლობაში 40 პროცენტი საერთოდ არ მომსვლია, 50 პროცენტი შეფერხებებით მოდიოდა, 10 პროცენტს კი, ასე თუ ისე, გამართულად ვიღებდი.

ახლა მე ვაყენებ წინადადებას და კატეგორიულად მოვითხოვ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილმა ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელმა მიპასუხოს: რატომ დაარღვიეს კონტრაქტი, რომელიც თვითოეულმა ჩვენგანმა მათთან გააფორმა! ვიცით, განა არ ვიცით, რომ ქაღალდიდან დაწყებული, ბეჭდვით დამთავრებული, ყველაფერი გაძვირდა, მაგრამ რატომ აზარალეს მკითხველი?

პირადად მე არ მიმიღია გაზეთ „ნერგის" (ხელმოწერის ღირებულება — 5 მანეთი), „ეთერშია საქართველოს" (8 მანეთი), „მერანის" (7 მანეთი), „საისტორიო ვერტიკალების" (36 მანეთი), „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში" (4 მანეთი), „ექსპრესის (7 მანეთი), არც ერთი ნომერი. რამდენიმე (3-4 ნომერი) მომივიდა მხოლოდ გაზეთებისა — „თბილისის" (26 მანეთი) „ახალგაზრდა ივერიელის" (15 მანეთი), „ლელოს" (21 მანეთი), „თავისუფალი საქართველოს" (25 მანეთი), რაც მთლიანად პატარა თანხას არ შეადგენს, თუმცა აქ ლაპარაკია არა თანხაზე, არამედ სინდის-ნამუსზე. ეს 135 მანეთი ქვეყანას არ ააშენებს, მაგრამ დაკარგული ნამუსი კი ნაღდად დაანგრევს.

ასე რომ, კატეგორიულად მოვითხოვ პასუხს ყველა ზემოთ დასახელებული გამოცემების მიუღებლობაზე.

კიდევ რომ გამოვიწერო ამდენი ჟურნალ-გაზეთი, სადაა გარანტია, რომ ისევ არ მომატყუებენ! და საერთოდ, ძალიან გთხოვთ აგვიხსნათ სიტუაცია!

გესიკ შუბითიძე.
ქ. რუსთავი.

რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულებს ბევრი პრობლემა გაუჩინა. ჯერ ერთი, ეკონომიკური პირობები მათ არ აძლევთ ძირითად სამუშაოს მოწყვეტის უფლებას. არადა, სამსახურის გაცდენისათვის ემუქრებათ შემცირებაში მოყოლა, პენსიაზე ნაადრევად გაშვება ან დათხოვნა.

ამიტომ ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, თუ მსაჯულს არჩევის პერიოდშივე მიეცემა ძირითად სამუშაოზე დატოვების გარანტია, პენსიონერ-მსაჯულს კი — ფულადი ანაზღაურება პროცესებში მონაწილეობისათვის. მსაჯულს უნდა ჰქონდეს ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობის უფლება. ამასთანავე მას, რამდენადაც მოსამართლესა და მსაჯულს შორის ემოციური დატვირთვის მხრივ საგრძნობი განსხვავებაა, როგორც პროფესიონალსა და არაპროფესიონალს შორის, უნდა მიეცეს დამატებითი ფასიანი შვებულება, ხოლო სასამართლო პროცესებში მონაწილეობისათვის — ფულადი გასამრჯელო რესპუბლიკაში არსებული მინიმალური საშუალო დღიური ხელფასის ოდენობით.

ჩვენ ამ საკითხებს ვაყენებთ პრესაში განხილვისათვის და ვიმედოვნებთ, ამასთან დაკავშირებით მსაჯულები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ.

კონსტანტინე ფრუიძე,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა მუშაობის ორგანიზატორი,

ირაკლი ბუხნიკაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მსაჯული.

ბატონო რედაქტორო! სრულიად ვეთანხმები თქვენი გაზეთის 19 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ვ. თულაშვილის წერილში — „შთამომავლობამ უნდა იცოდეს, ვინაა ქართველი ერის მტერი" — წამოჭრილ საკითხს და მიმაჩნია, რომ დასახელებულ საპატრიარქო წიგნში შეტანილ უნდა იქნეს ზვიად გამსახურდია და არა ერთხელ, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, მრავალჯერ, რადგან აურაცხელია ის ზიანი, რაც მისმა ბოროტმა ქმედებამ მიაყენა ქართველ ერს.

ე. დვალი,
პენსიონერი, თბილისი.

საქართველო ამჟამად საომარ ვითარებაში იმყოფება. ახალგაზრდა სახელმწიფოს მოკეთეებთან ერთად, სამწუხაროდ, მტერი და არაკეთილმოსურნეც ბევრი გაუჩნდა. ისინი საკმაოდ გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, აფიქსირებენ ყველა იმ ინფორმაციას, რომლებიც სახელმწიფო ან სამთავრობო საიდუმლოებებს წარმოადგენს და საკმაოდ მოხერხებულადაც იყენებენ. ყველას კარგად გვახსოვს გაგრის ტრაგედია, ის აჟიოტაჟიც, რომელიც ამ სისხლიანი, მწარე გაკვეთილის შემდეგ ატყდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გარშემო, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ ისეთ ინფორმაციებსაც ბეჭდავდნენ და გადასცემდნენ, რომლებიც არ უნდა გავრცელებულიყო.

არ გვინდა, რომ არაჯანსაღი ხმაურის ატეხვაში დაგვედოს ბრალი, თითქოს ისევ უკან, კარჩაკეტილობისაკენ, ჭაშუშობისაკენ მოვუწოდებდეთ საზოგადოებას, მაგრამ, სათქმელი უნდა ითქვას, კერძოდ — სახელმწიფო საიდუმლოებებისადმი ასეთ თავისუფალ მოპყრობას არსად, არც ერთ ქვეყანაში არა აქვს ადგილი. ჩვენ ამ მხრივ გამონაკლისი არ უნდა ვიყოთ.

ამას წინათ რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციების შექმნის შესახებ. მთავრობის მიზანი გასაგებია და მისასალმებელი, ოღონდ საკითხის გადაჭრის გზა, ცოტა არ იყოს, ეჭვს იწვევს. აღნიშნული დადგენილებებით შეიქმნა სამსახური, რომელმაც არ უნდა დაუშვას რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებათა „გაჟონვა".

ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონს „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" (მუხლი I) და საერთაშორისო — სამართლებრივ აქტებს, რომლებითაც აკრძალულია პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა ყოველგვარი ცენზურა.

მაშ რაა გამოსავალი? გამოსავლის გამონახვა შეიძლება. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებათა გახმაურებისათვის (მუხლი 96-ე და 277-ე). აღნიშნული მუხლები მითითებითი, ე. წ. ბლანკეტური ხასიათისანი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ იყო სათანადო კანონქვემდებარე აქტი, რომელიც შეიცავდა იმ ჩამონათვალს, რომლებიც სახელმწიფო ან სამთავრობო საიდუმლოებებს წარმოადგენენ. მხედველობაში გვაქვს ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 დეკემბრის დადგენილება, რომლითაც სახელმწიფო ან სამთავრობო საიდუმლოებად ცხადდებოდა სამობილიზაციო გეგმები; სახელმწიფო და სამობილიზაციო რეზერვების თავმოყრის და შენახვის ადგილები; ჯარების დისლოკაციის ადგილები; ჯარების რიცხობრივი შემადგენლობა და მათი შეიარაღება; მონაცემები აეროდრომების ქსელის და მათი გამტარუნარიანობის შესახებ და ა. შ.

ეჭვგარეშეა საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი კანონის მიღებით შუქი უნდა მოჰფინოს ამ საკითხს. მაგრამ, კანონის მომზადება და მიღება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. დრო კი არ ითმენს, საკითხი დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს და უნდა შევეცადოთ, ისე გადავჭრათ, რომ არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება შეიზღუდოს და არც სახელმწიფოს ინტერესები ვაზარალოთ. ასეთად ჩვენ წარმოგვიდგება მხოლოდ ერთადერთი — სამთავრობო დონეზე დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს სათანადო დადგენილება, რომელშიაც ამომწურავად იქნება ჩამოთვლილი, თუ რა ცნობები ჩაითვლება სახელმწიფო საიდუმლოებად და რა — სამხედროდ (სამხედრო საიდუმლოებებს სახელმწიფო საიდუმლოების ერთ-ერთ სახედ მიიჩნევენ სპეციალისტები).

ასეთი ნორმატიული აქტის მიღება გამორიცხავს ყოველგვარ ე. წ. ცენზურას, გაზრდის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას, თავს აგვაცილებს სახელმწიფო მოხელეთა ზედმეტი საშტატო ერთეულების შემოღებას.

სხვათა შორის, შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის პრეზიდენტის 1992 წლის 14 იანვრის ბრძანებულებით, სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის ახალი კანონის მიღებამდე რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაევალათ იხელმძღვანელონ შესაბამისი ძველი, საკავშირო ნორმატიული აქტებით.

იქნებ, ჩვენც მოგვეფიქრებინა რაიმე.

ბადრი ბიწაძე,
კრწანისის რაიონის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

გია მეფარიშვილი,
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როცა სახალხო ქონების პრივატიზების ადვაძისეული პროგრამის მიმართ ჩემს მიერ პრესაში გამოქვეყნებული 16 კრიტიკული შენიშვნიდან მხოლოდ ერთში შეეპარა ეჭვი სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ ემირ ჯულელს (იხ. 8 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკა").

დარწმუნებული ვარ, იმ ერთშიც არ შეეპარებოდა ეჭვი ბატონ ემირს, უკეთ რომ ყოფილიყო ჩახედული ერთობლივი საწარმოების საწესდებო ფონდის გაანგარიშების „სამზარეულოში", სადაც საბალანსო ღირებულება წესისამებრ განისაზღვრება არა რუსული მანეთის საბაზრო კურსით, არამედ კომერციული კურსით 1990 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით (მაგალითად, 1 ამერიკული დოლარი შეეფარდება 1,78 მანეთს, ხოლო ზოგ შემთხვევაში — 1 მანეთსაც კი).

ასე რომ, ნურავინ დაეჭვდება, თუ რესპუბლიკაში პრივატიზებას დაქვემდებარებული საერთო-სახალხო ქონება საერთო საბალანსო ღირებულებით 48 მილიარდი მანეთი (მიწის ღირებულების გარეშე) შეფასებული იქნება 24 მილიარდ ამერიკულ დოლარად, რაც უკეთეს შემთხვევაში ბაჟის გადახდის სახით სახელმწიფო ხაზინას მოუტანს 4,8 მილიარდ ამერიკულ დოლარს.

მე პირადად, როგორც სახალხო ქონების მხოლოდ სერტიფიკატებით პრივატიზების მხარდამჭერთა სამოქალაქო მოძრაობის ერთ-ერთი რიგითი წევრი, არავის არ გავაყიდინებ ჩემს კუთვნილ წილს საერთო-სახალხო ქონებიდან.

რევაზ ჩოდრიშვილი,
თბილისის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური კოოპერატივის „ეფექტი-88"-ის გამგეობის თავმჯდომარე, სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ვინც წიფის გვირაბის გავლით ლიხის ქედს აქეთ მატარებლით გამოდის, მხოლოდ ის მიხვდება ამ წერილში მოყვანილ მგზავრთა გასაჭირს. ამჟამად მატერიალურ გაჭირვებას არ ვჩივით, მას მგზავრობის სიძნელეც ემატება და ეს გვაწუხებს. ამიტომ, კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს თხოვნას გაიზიარებენ რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელები და იღონებენ რამეს მგზავრთა უკეთ მომსახურების უზრუნველყოფისათვის.

მატარებელი ზესტაფონ-ხაშურ-თბილისი კვირაში მხოლოდ ერთი დღე, ისიც კვირა დღეს მიმოდის, თანაც თბილისში შუაღამისას ჩამოდის.

ჩვენი თხოვნაა ამ მატარებელმა კვირაში ორ დღეს — შაბათს და კვირას იმოძრაოს. თანაც კარგი იქნება, თუ ეს მარშრუტი შესრულდება შუადღის რეისით, ვინაიდან საღამოს მატარებელი თბილისში შუაღამისას ჩამოდის, ქალაქში კი ამ დროს არც მეტროპოლიტენი მუშაობს და არც სხვა საქალაქო ტრანსპორტი, ვისაც თხელი ჯიბე აქვს, სახლამდე ფეხით უხდება სიარული. ამ დროს კი ქალაქის ქუჩებში განუკითხაობაა, და ვინ იცის მგზავრი სახლამდე როდის მიაღწევს. შუადღის რეისით ჩამოსული მატარებელი კი დედაქალაქში ისეთ დროს ჩამოვა, რომ ხალხი შედარებით მშვიდობიანად დაბინავდება, მეორეც, უკან დაბრუნებისას ხაშურამდე და თვით ზესტაფონამდე აქედანაც ხალხს წაიყვანს და ცარიელი აღარ ირახრახებს, ტყუილად აღარ დაიხარჯება ელექტროენერგია. ერთი სიტყვით, თბილისში შუადღის რეისით ჩამოსული მატარებელი აანაზღაურებს უკან დაბრუნების ხარჯებს, ვინაიდან მგზავრი ყოველთვის ეყოლება.

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

კარიკატურისტის კომენტარი

აი, ჩვენ რომ ნავთობს მიწაში ვეძიებდეთ და არა მიწისზედა მილებში (ზოგი მას ხვრეტს და ისე მოიპოვებს), ბენზინი საქართველოში შედარებით იაფი იქნებოდა.

გაზეთებიდან.




არა, ეს არ დაჯდება, რიგებში მთელი დღე ფეხზე დგას და მიეჩვია.

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მხარს უჭერენ პრეზიდენტ ბ. ელცინს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ორშაბათს დაურეკა პრეზიდენტ ბორის ელცინს. განიხილეს რუსეთში შექმნილი სიტუაცია და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა.

„ჯორჯ ბუშმა კვლავ აღუთქვა ბორის ელცინს, რომ მტკიცედ და არაორჭოფულად დაუჭერს მხარს რუსეთში დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისათვის ძალისხმევას, — აღნიშნულია დოკუმენტში. — ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს არ იტყვის რუსეთის მთავრობის მტკიცე მხარდაჭერაზე".

ორშაბათს საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩეული ბილ კლინტონის პრესსამსახურმა გაავრცელა ტექსტი წერილისა, რომელიც მან გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს.

„სახალხო დეპუტატთა ყრილობის მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ დაგიდასტუროთ, რომ მხარს ვუჭერ თქვენს ძალისხმევას რუსეთში დემოკრატიისა და ეკონომიკური რეფორმების წინსვლისათვის, ჩვენ შორის თანამშრომლობის განმტკიცების გზების ძიებისათვის. ამ ძალისხმევის წარმატება შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს. როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტს დავიკავებ, მინდა, თქვენთან მჭიდრო პარტნიორობით, მივაღწიო აღნიშნულ მიზნებს", — წერს ბ. კლინტონი.

ესტონური კრონების ყიდვა შეიძლება მანეთებით

ესტონეთის ბანკმა დააკანონა კრონების მიყიდვა კერძო პირებისათვის მანეთებზე, ლატვიურ რუბლისებზე, უკრაინულ კარბოვანეცებზე და ლიტვურ ტალონებზე.

დღემდე ესტონური ფულის შეძენა შეიძლებოდა მხოლოდ მტკიცე ვალუტით, თუმცა ტალინის სადგურზე მუშაობდა მანეთზე გამცვლელი პუნქტი. ამიერიდან სტუმარს რუსეთიდან შეუძლია თავისუფლად შეიძინოს რვა ათასამდე კრონი. კურსს თვით კომერციული ბანკები განსაზღვრავენ.

პაკისტანს შვიდი ატომური ბომბი აქვს

პაკისტანს თავის განკარგულებაში აქვს სულ ცოტა შვიდი ერთეული ატომური იარაღი, რომელთაგან თითოეულს შეუძლია გამოიწვიოს ნგრევა, რომელიც შეედრება ბომბს, რომელმაც მოსპო ჰიროსიმა. ასეთ დასკვნამდე მივიდა ექვსი თვის გამოძიების შემდეგ ამერიკის ენ-ბი-სის სატელევიზიო კომპანია. მოტყუების გზით პაკისტანელმა სამხედროებმა შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების დახმარებით შეძლეს შეექმნათ ბირთვული იარაღი, ამტკიცებს ენ-ბი-სი.

პაკისტანის ამბიციები, აღნიშნავს ტელეკომპანია, ცნობილი იყო. 1974 წელს პაკისტანის განსვენებულმა პრემიერ-მინისტრმა ზულფიკარ ბჰუტომ დაიფიცა, პაკისტანელები ბალახს შეჭამენ, მაგრამ გაუტოლდებიან ინდოეთს ატომური პოტენციალით. პაკისტანელებს არ დასჭირდათ ბალახის ჭამა, რადგან 1979 წელს, ავღანეთში ცნობილი ამბების დაწყების შემდეგ, დასავლეთმა, რომელსაც ამ სიტუაციაში მოკავშირე სჭირდებოდა, გაუადვილა პაკისტანს ეს ამოცანა. პაკისტანმა მიიღო თავისი არსენალი — ისლამური ატომური ბომბების პირველი არსენალი. რადგან რეიგანის ადმინისტრაციამ საშუალება მისცა პაკისტანის დიქტატორს ზია-ულ-ხაკს ეყიდა მაღალტექნოლოგიური ამერიკული მოწყობილობა.

ხელფასი? მილიონი თვეში

მარატ მირგაზიამოვს, ბაშკირეთის 50 წლის ექს-პრემიერს შესთავაზეს „აღმოსავლეთის" კოოპერაციულ ბანკში მუშაობა: ბანკის პრეზიდენტი რაფის კადიროვი მზად არის თვეში მილიონი მანეთი აძლიოს გადამდგარ მთავრობის თავმჯდომარეს.

უმუშევარმა ექს-პრემიერმა ბანკირს აღუთქვა, რომ იფიქრებს მის წინადადებაზე. ახლა ამ ბანკში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ქვეყნის კოოპერაციულ ფინანსურ სტრუქტურებში, მუშაობს ბევრი ყოფილი თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მოღვაწე: რსფსრ კომპარტიის ყოფილი რესკომის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხუთი პირველი (რა თქმა უნდა, ყოფილი) მდივანი, გადამდგარი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის რამდენიმე ათეული სახალხო დეპუტატი.

„იზვესტია".

თითო აბზაცით

რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით, საქართველოს დამხობილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თქვა, რომ მზად არის დაუბრუნდეს პოლიტიკურ საქმიანობას, თუ რესპუბლიკის ხელისუფალნი მას სათანადო გარანტიებს მისცემენ, რომ სურს გერმანიაში შესასვლელი ვიზის მიღება, მაგრამ გერმანიის ხელისუფლები უარს ეუბნებიან ვიზის მიცემაზე.

ირანის წარმომადგენელმა კაიროში ქემალ ხარაზიმ განაცხადა, რომ ირანს არა აქვს ბირთვული იარაღის შემუშავების პროგრამები, რომ ამგვარ მტკიცებათა უკან დგას ერაყი, რომელიც თესავს „ირანოფობიის" თესლს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ირანელი „მეცნიერები მუშაობენ მშვიდობიანი მიზნით ბირთვული ენერგიის გამოყენებისთვის".

გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის პლენარულმა სხდომამ მიიღო რეზოლუცია ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის შესახებ. დოკუმენტი, რომლის თანაავტორად გამოვიდა ძალზე ბევრი სახელმწიფო — 146, მიღებული იყო კონსენსუსურად, საერთო თანხმობის საფუძველზე.

ორშაბათს საექსპლოატაციოდ გადაეცა აზიასა და ევროპას შორის რკინიგზა, რომლის საბოლოო პუნქტებია ჩინეთის ლიანიუნგანის ნავსადგური და ბელგიის სანავსადგურო ქალაქი ანტვერპენი.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ცნობა

1992 წლის 2 დეკემბრიდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ:

1 ავსტრალიური დოლარი	284 მან. 81 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	37 მან. 30 კაპ.
1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი	630 მან. 92 კაპ.
10 ბელგიური ფრანკი	127 მან. 89 კაპ.
1 გერმანული მარკა	262 მან. 28 კაპ.
1 ჰოლანდიური გულდენი	233 მან. 03 კაპ.
1 დანიური კრონა	67 მან. 78 კაპ.
100 იტალიური ლირა	29 მან. 87 კაპ.
1 კანადური დოლარი	282 მან. 26 კაპ.
1 ნორვეგიული კრონა	64 მან. 24 კაპ.
1 ამერიკული დოლარი	417 მან. 00 კაპ.
1 ფინური მარკა	81 მან. 65 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	77 მან. 15 კაპ.
1 შვედური კრონა	61 მან. 16 კაპ.
1 შვეიცარიული ფრანკი	290 მან. 90 კაპ.
10 იაპონური იენი	33 მან. 45 კაპ.
1 ეკიუ	512 მან. 88 კაპ.
10 ესპანური პესეტა	36 მან. 46 კაპ.
10 ბერძნული დრაჰმა	20 მან. 08 კაპ.
1 ირლანდიური გირვანქა	688 მან. 05 კაპ.
1 ისლანდიური კრონა	6 მან. 57 კაპ.
1 ქუვეითური დინარი	1392 მან. 13 კაპ.
10 ლიბანური გირვანქა	2 მან. 23 კაპ.
10 პორტუგალიური ესკუდო	28 მან. 99 კაპ.
1 სინგაპურული დოლარი	254 მან. 63 კაპ.
10 თურქული ლირა	0 მან. 50 კაპ.
1 ამერიკული დოლარი ინდოეთიდან 1992 წლის ანგარიშსწორების მიხედვით	417 მან. 00 კაპ.

საერთაშორისო ოპერაციების სამმართველო.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ჩვენი თანადგომა საქართველოს გენოფონდს

თამაზ ნანიტაშვილი,
საქართველოს საადგილმამულო ბანკ „ალმაშენებლის“ პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

დღეს, როდესაც სანუკვარ დამოუკიდებლობას მივაღწიეთ, ცხოვრების მეტად რთული ეტაპის გავლა დავიწყეთ და ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას შევუდექით, თვალნათლივ ჩანს, რომ ამ ეტაპზე ცხოვრების ჭაპნის გაწევა ძირითადად ჩვენს ახალგაზრდობას უწევს.

უფროსი თაობის წარმომადგენლებს გაცილებით მეტის გაკეთება გვმართებს, რათა ჩვენი შვილები, მომავალი თაობა ზნეობრივად, სულიერად და მატერიალურად უფრო წელგამართულნი იყვნენ. დღეს, როდესაც ჩვენს მამულში ომია, ყველას უჭირს, მაგრამ განსაკუთრებით უჭირს ახალგაზრდობას, რომელიც მოკლებულია მშვიდობიანი ცხოვრების ელემენტარულ პირობებს.

ბევრი რამ, რაც დასანგრევი იყო, დავანგრიეთ, ახლის შენება კი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. ისმის კითხვა: როდემდე?

ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის, კარგი სწავლის და შრომის გარეშე ძნელია ჩვენი მამულის აღორძინებაზე, აყვავებაზე ლაპარაკი. უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი გენოფონდის — საქართველოს ახალგაზრდობის მოვლა-პატრონობას.

მამულმა რომ კაიხაროს, გაძლიერდეს და გამრავლდეს, ჩვენი გენოფონდის, ახალგაზრდობის ზნეობრივი, სულიერი და მატერიალური ძლიერებაა საჭირო. მარტო ლიტონი სიტყვებით, დაპირებებითა და უმცირესი დახმარებით ერისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ვერ გადავწყვეტთ, თუ რეალური მატერიალური თანადგომა არ აღმოვუჩინეთ ჩვენს ახალგაზრდობას, რათა მათ ცხოვრების ელემენტარული პირობები შევუქმნათ.

ყოველივე ამის გამო, მიზანშეწონილად ვთვლი შეიქმნას სრულიად საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაცია „სიჭაბუკე“.

ამ ორგანიზაციის მატერიალური უზრუნველყოფისთვის კი უპრიანი იქნება შეიქმნას სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის მუდმივმოქმედი დახმარების ფონდი „სიჭაბუკე“.

გთავაზობთ, სპეციალური ანგარიში გაიხსნას საქართველოს საადგილმამულო ბანკ „ალმაშენებელში“, რომელიც ფონდის მოთავე და მეპატრონე იქნება. მისი ფორმირების წყაროს უნდა შეადგენდეს: იურიდიული, კერძო პირების და სახელმწიფოსგან შემოწირული სახსრები, შესაძლებელია დაწესდეს ყველა იურიდიულ პირზე სავალდებულო გადასახადიც.

აღნიშნული ფონდიდან მატერიალური დახმარება, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიეცეთ ფრიადოსან, აგრეთვე ობოლ მოსწავლე ახალგაზრდებს.

ძვირფასო მამულიშვილნო!

იმედი გვაქვს ახალგაზრდობისადმი თქვენი თანადგომისა.

საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციის „სიჭაბუკის“ და მისი საქველმოქმედო ფონდის შექმნაზე მუშაობას შეუდგა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ელის თქვენს გამოხმაურებას და საქმიან წინადადებებს.

მობრძანდით, გელით.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი. 380002, ხეთაგუროვის ქ. № 26, მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლე (ბარათაშვილის ხიდთან), ტელეფონი: 95-06-01, 96-92-46.

პრესკონფერენცია

ვინ უშველის ლტოლვილს

სასტუმრო „ივერიაში“ საზოგადოებების „აფხაზეთის“, „ეგრისის“, „სოხუმელის“, და აფხაზეთიდან ლტოლვილების საკოორდინაციო კომიტეტის თაოსნობით მოეწყო პრესკონფერენცია, რომლის მიზანი იყო, საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენელთათვის გაეცნოთ ლტოლვილთა მდგომარეობა. მთლიანად საქართველოში 60 ათასზე მეტი ლტოლვილია, აქედან თბილისში — 15 ათასზე მეტი, რომლებიც სხვადასხვა სასტუმროში ბინადრობენ.

პრესკონფერენცია გახსნა აფხაზეთიდან ლტოლვილთა საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ.

მან ილაპარაკა ლტოლვილთა პრობლემებზე, მათ განსახლებაზე დედაქალაქსა და რესპუბლიკის რაიონებში. ითქვა, რომ ლტოლვილთა ნაწილი რაიონებში არ მიდის, ზოგიერთები ოჯახებში არიან შეხიზნულები და მათთვის ჰუმანური დახმარება ორგანიზებულად ვერ ნაწილდება. ყველაზე მთავარი კი მაინც ჰუმანური დახმარების განაწილების საჯაროობაა, — განაცხადა მან. ლტოლვილი მამაკაცებიდან ბევრია მსურველი დაბრუნდეს აფხაზეთში და იბრძოლოს, — ითქვა პრესკონფერენციაზე, — მაგრამ თავდაცვის სამინისტრო ჯერჯერობით სრულყოფილად ვერ აგვარებს აღნიშნულ პრობლემას.

ჰუმანური დახმარების განაწილებაში საკმაოდ ბევრი ხარვეზია, რის გამოც მას სათანადო უკუგებით ვერ იყენებენ. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ლტოლვილების ისედაც მძიმე მორალურ მდგომარეობაზე. მათი სურვილია, უფრო დაწვრილებით, რეალურად, არსებითი წინააღმდეგობების გათვალისწინებით გაშუქდეს პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ყველაფერი ის, რაც მნიშვნელობას შეიძენს მომავალში. გარდა ამისა, ლტოლვილების აზრით, მახინჯდება ფაქტები. ყველა ამ პრობლემაზე საუბრისას, ზოგიერთმა აღელვებულმა მოქალაქემ არცკი ისურვა ვინაობის გამჟღავნება. კითხვაზე მათ ხელი ჩაიქნიეს, რა მნიშვნელობა აქვს, ვინა ვართო...

ღმერთმა ქნას, მათ ხელი იმ მთავარ იმედზეც არ ჩაექნიოთ, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანის ყოფა.

იზა ჯაჭვაძე.

სურათზე: პრესკონფერენცია აფხაზეთიდან ლტოლვილებთან სასტუმრო „ივერიაში“.

• • •

ბონდო დვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

— ხომ არ დაგავიწყდათ —
ჩვენი გაზეთის გამოწერა?

თუ გინდათ,
რომ ცხოვრებას
არ ჩამორჩეთ
და ყველაფერი იცოდეთ,
რაც დედამიწის
ზურგზე ხდება,
გამოიწერეთ ყველაზე
იაფი ყოველდღიური
ქართული გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა

იჩქარეთ!

ხელმოწერის ვადა
გაგრძელებულია 20 დეკემბრამდე

ნუღარ გადასდებთ,
დღესვე მიაკითხეთ
საქპრესის განყოფილებებს!

დაუდევრობის მსხვერპლნი

როგორც იცით, გურჯაანში ბუნებრივი გაზის დაგროვების შედეგად აფეთქდა 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მეოთხე დღეა მიმდინარეობს მაშველი და საწმენდი სამუშაოები. ნანგრევებიდან ამოღებულია 7 გვამი, არიან დასახიჩრებულებიც, მსხვერპლის საბოლოო რიცხვი ჯერაც არ დაზუსტებულა.

თუმცა მტყუან-მართალს გამოძიება გაარკვევს, მაგრამ დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრაგედია რაიონის გაზით მომსახური მუშაკთა დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგია.

რამდენიმე დღის მანძილზე მოსახლეობა მიმართავდა საავარიო სამსახურს, რადგან გაზის მძაფრი სუნი იგრძნობოდა, ზოგმა ამ მიზეზით სახლიც კი დატოვა. კვირას სადენი გადაკეტეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. გაუფრთხილებლობამ და დაუდევრობამ ბევრი ადამიანი შეიწირა.

ზურაბ არსენიშვილი.

ტრაგედია ფოთში

2 დეკემბერს ფოთში მოხდა უბედური შემთხვევა.

ფოთის პირველი საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლემ ლევან კაკულიამ მაკაროვის სისტემის პისტოლეტის შემთხვევითი გასროლით მოკლა თავისი ძმა ვალერი კაკულია, შემდეგ კი თვითონაც თავი მოიკლა.

მაკაროვის სისტემის პისტოლეტი ეკუთვნოდა კაკულიების მამას, ფოთის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსს ბადრი კაკულიას.

ოჰ, საქართველოს!..

ანუ როდის დავკრეფთ „ოქროს ვაშლს“

ზაურ მაკარაძე

როგორც მოსალოდნელი იყო, პურის ფასების გაზრდამ ვერ განმუხტა სამომხმარებლო ბაზრის დაძაბულობა, ძვრა ვერ უქნა ტყვიასავით მძიმე, უსახურ რიგებს. „აპოკალიფსის პირველი დღე“ — ასე აღიქვა ხალხმა პურის გაძვირება — შედარებით განტვირთული აღმოჩნდა, მაგრამ შოკური თერაპიის ახალმა პროცედურამ მალე მოიყვანა გონს, მოსახლეობა, ქუში „[illegible]“ და შავი დღისათვის გადანახული უკანასკნელი კაპიკები ერთადერთი საარსებო საშუალების გაუმაძღარ ხახაში გადააშვებინა.

ამ ფონზე მეტად დამაფიქრებელი იყო განცხადება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბატონმა რომან გოცირიძემ გააკეთა პარლამენტის სხდომაზე: პარადოქსული სიტუაციაა, ვალუტა გვაქვს, მაგრამ გამოუცდელობის, თუ კიდევ სხვა მიზეზების გამო, სურსათი ვერ შეგვიძენიაო.

ფაქტია, ცენტრის, როგორც მეურვის დაკარგვის და საბაზრო ეკონომიკის თვისებრივად ახალ პირობებში ბევრმა სამინისტრომ და უწყებამ სრული უუნარობა გამოავლინა, ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბევრი კეთილსინდისიერი ბიზნესმენის ინიციატივა ჩაკლა, მათს ერის საკეთილდღეო წამოწყებებს უცერემონიოდ შეაკვეცა ფრთები. ბევრი ხელშეკრულება იმიტომ დაირღვა, რომ ქართული ბიუროკრატიული ბარიერი, კიდევ კვლავ ურღვევი და მეტად მტკიცეა. ამის მაგალითები მრავლადაა და ეს ძალიან საშიშია. ყველა აპარტამენტი, სადაც კი მოხვდა ჩვენი ბიზნესმენი, აყროლდაო, წერს ცნობილი ჟურნალისტი მიხეილ გურტავაი. აღარ ენდობიან ჩვენს საქმოსნებს, აღარ სჯერათ მათი. რატომ? — ალბათ, იმიტომ რომ, თუ ბაზარია, მოდით, შევუწყოთ ხელი, ნუ ჩავერევით „ბაზრის ხალხის“ საქმეებში, თუ არა და... მკითხველის [illegible] მოვიყვან ვრცელ მაგალითს სამხრეთკორეული გამოცდილებიდან.

• • •

ყოფილმა კოლონიამ თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია — მესამე და მეოთხეხარისხოვანი ქვეყნებიდან ელიტაში, მსოფლიოს 20 მაღალგანვითარებული სახელმწიფოს რიგში აღმოჩნდა.

მცირე ბიზნესთან ერთად, სამხრეთ კორეაში შეიქმნა და აღორძინდა მსხვილი კორპორაციები, მათგან ხუთი მსოფლიოს გიგანტური კორპორაციების ოცეულში შევიდა.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში გადამმუშავებელ მრეწველობაში შრომისნაყოფიერება 13 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როცა იმავე მაჩვენებელმა იაპონიაში 10 პროცენტი შეადგინა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 4.

ამჟამად, შრომის ანაზღაურება სამხრეთ კორეაში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე აშშ-ში, გერმანიასა და იაპონიაში. კორეელის საშუალო ხელფასი დღეს, თვეში 600 დოლარზე მეტს შეადგენს, რაც მხოლოდ ორჯერ ნაკლებია ამერიკელის ხელფასზე.

ომის დასასრულს, ინფლაციამ კორეაში 148 პროცენტი შეადგინა. სახელმწიფომ განახორციელა ღონისძიებების მთელი კომპლექსი: საბანკო პროცენტის გაზრდით, ფასებზე კონტროლით, განსაკუთრებით, მომსახურების სფეროში, ბიუჯეტის დეფიციტი შეამცირა. მოხდა სასწაული: 1982 წლისათვის ინფლაციის დონე 1-2 პროცენტამდე შემცირდა.

სახელმწიფომ აირჩია სწორი საექსპორტო სტრატეგია. სამხრეთ კორეას საკუთარი ნედლეული არ გააჩნია. ამიტომ, ყოველგვარ ბიზნესს გაუჩნდა ორმაგი ამოცანა: არა მარტო ეწარმოებინათ პროდუქცია, არამედ გაეცვალათ კიდეც იმ ნედლეულსა და საგნებზე, რაც ქვეყანაში არ არის. ასეთმა საექსპორტო ორიენტაციამ თავიდანვე გაზარდა მოთხოვნილება ხარისხის მიმართ, როგორც დიდ, ისე მცირე ბიზნესში. საექსპორტო სექტორის აღორძინება დაიწყო საფეიქრო და ელექტროტექნიკური მრეწველობით. ამ საქმეს ტონს აძლევდნენ საზღვარგარეთული, ძირითადად, იაპონური და ამერიკული კომპანიების ფილიალები. ისინი მუშაობდნენ შემოტანილ ნედლეულზე და პროდუქცია გაჰქონდათ საზღვარგარეთ. ოცი წლიწადში მათს ბაზაზე ჩამოყალიბდა მრავალდარგოვანი სამრეწველო კომპლექსი. სამხრეთ კორეამ მყარი პოზიცია დაიკავა საერთაშორისო ბაზარზე.

მართალს მეტყვი

დღეს ის ფეხსაცმლისა და ფერადი ტელევიზორების წამყვანი ექსპორტიორია მსოფლიოში, გემთმშენებლობის მოცულობის მხრივ, კი მხოლოდ იაპონიას ჩამორჩება. ოცი წლის განმავლობაში, სამხრეთკორეული ექსპორტი 100-ჯერ გაიზარდა, სხვა განვითარებული ქვეყნებისა — მხოლოდ 10-16-ჯერ. სამხრეთ კორეას, იაპონიის გარდა, ყველა ქვეყანასთან ვაჭრობის დადებითი სალდო აღმოაჩნდა.

რა არის სამხრეთ კორეის ამ გრანდიოზულ წარმატებათა გასაღები?

ბევრი რამ: შეიძლება გასაკვირი იყოს, მაგრამ სამხრეთ კორეაში ერთმანეთს დაუკავშირეს მკაცრი სახელმწიფო დირიჟიზმი და მოსახლეობის მაღალი საქმიანი აქტიურობა. ჩვენთან „გეგმა“ ლამის სალანძღავი სიტყვა გახდა, იქ კი... არსებობს წარმატების ერთადერთი ფორმულა — სახელმწიფო და ხალხი უნდა გრძნობდნენ, რომ საჭიროა პროგრესი, წინსვლა, გაერთიანება და საამისოდ მოიკრიბონ ძალა, აითვისონ ტრადიციული თუ მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილი მეურნეობის მართვის ფორმები. ისინი კომპლექსურად წყვეტდნენ პრობლემებს. ერთდროულად იღებდნენ სუბსიდიებს, იმაღლებდნენ განათლების დონეს, აარსებდნენ მძლავრ სამეცნიერო და საპროექტო ინსტიტუტებს, ცენტრებს, უნივერსიტეტებს, ათიათასობით სპეციალისტს გზავნიდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად; ერთდროულად ქმნიდნენ ახალ ეკონომიკურ მექანიზმს, თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, ებრძოდნენ ინფლაციას, მთლიანად ცვლიდნენ საკრედიტო სისტემას, ახორციელებდნენ ფულის, საგადასახადო რეფორმებს... საკონსულტაციოდ იწვევდნენ უცხოელ ექსპერტებს.

მაგრამ, როგორც სპეციალისტები თვლიან, მთელი ეს საქმიანობა ცარიელ მცდელობად დარჩებოდა, რომ არ ყოფილიყო მოსახლეობის მაღალი მოქალაქეობრივი აქტიურობა, არ ყოფილიყო უბრალო, კორეელი ადამიანი თავისი სამშობლოს აყვავებისა და აღორძინების მოსურნე.

მთავრობა თავის საქმიანობაში ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობს: რა მოხდება, თუ ამას ვერ გავაკეთებთ, რა მოხდება, თუ ამას ცუდად გავაკეთებთ, ან რა იქნება, თუ მიზანს მივაღწევთ? მოსახლეობა ინფორმირებულია ყველაფრის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდება. მთავრობას აწუხებს ის, თუ რა განწყობილებაა ადმინისტრაციული შენობის გარეთ, რას მოელის მისი პროგრამისაგან თითოეული ადამიანი, ოჯახი, ქუჩა, ფაბრიკა. ეს არის საძირკველი, რომელსაც ამ ქვეყანაში ეროვნული თანხმობა ეყრდნობა.

ეკონომიკური რეფორმების სტარტზე, სამხრეთკორეელები პრაქტიკულად 365 დღის მუშაობდნენ წელიწადში. არ იცოდნენ, რა იყო ძილი, მოსვენება, მუხლის ჩახრა.

ახლაც თითოეული კორეელი 11-11 საათს მუშაობს, გამოსასვლელი დღეების გარეშე. ამ დროს, საბაზრო ეკონომიკისა და უდიდესი ტექნიკური პროგრესის ქვეყანაში, უმუშევრობა რაღაც 2,7 პროცენტს შეადგენს. სერვისი და მცირე ბიზნესი დიდი რაოდენობის მუშახელს მოითხოვს. გარდა ამისა, ბევრი სამხრეთკორეელი დასაქმებულია ქვეყნის მსხვილი კომპანიების უცხოეთის ფილიალებში.

• • •

ამ მხრივ ჩვენთან სავალალო მდგომარეობაა, „საქართველომ უნდა განავითაროს გონებატევადი, მეცნიერებატევადი დარგები“, მითხრა ერთხელ ბატონმა ნოდარ ნათაძემ. მაგრამ, ალბათ, ჯერ გონებატევადი და მეცნიერებატევადი კადრები დაგვჭირდება, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები. ქვეყნის პატრიოტები... გვყავს ისინი? შეიძლება გვყავს კიდეც, მაგრამ არ ჩანან. დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, უფრო „ვალუტატევადი“ და „ვაჭრობატევადი“ ხალხის ბუმია, ეს ხალხიც მხოლოდ თავისთვის იხვეჭს და თავისთვის ვაჭრობს.

კოსმოპოლიტიზმია დღეს საქართველოს მეფე, პატრიოტიზმი — უდარდელობა და მომხვეჭელობა.

• • •

სამოცდაათს მიუახლოვდი და 40-იანი წლების შემდეგ პირველად ვიგრძენი პურის სუნი, მითხრა ერთმა დამცირებულმა რიგითმა ქართველმა ბერიკაცმა. პურის სუნი?!

უნიკალური სუბტროპიკული ზონის ქვეყანაში სუბტროპიკების სუნზე მეტად პურის სუნი ფასობს...

ინფორმაცია

მოკლე-მოკლედ

რისთვის უხდიან ხელფასს მერიას?

ქალაქის მერიასთან მოეწყო „მწვანეების“ პიკეტი, რომლის მიზანი იყო დანაგვიანებული დედაქალაქისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება..

„მწვანეთა“ მოძრაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ლევან ჩაჩუამ წინადადებით მიმართა თბილისის მერს ოთარ ლითანიშვილს და მოითხოვა: ქალაქის დასუფთავების სამსახურებმა, სანეპიდსადგურმა და სხვა ორგანიზაციებმა მუშაობა ისე წარმართონ, რომ ქალაქი ქალაქს დაამსგავსონ, რათა არ გავრცელდეს რაიმე ეპიდემია, რომლის შესაძლებლობასაც დღევანდელი მდგომარეობა ქმნის.

კაცმა რომ თქვას, პიკეტის მონაწილენი ელემენტარულ რამეს მოითხოვდნენ — გააკეთეთ, ბატონებო, ის საქმე, რისთვისაც ხელფასს გიხდიან.

სხვაგანაც ასე რომ იყოს

სამხედრო გზის ყაზბეგ-ვლადიკავკაზის მონაკვეთზე ტრანსპორტი შეუფერხებლად მოძრაობს, მიმდინარეობს გზის გაწმენდის სამუშაოები. საზღვარზე მოქმედებს მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟო. ქართული მხარე მხოლოდ მანქანებს ამოწმებს. გზაზე მიმოსვლის უსაფრთხოების მიზნით პატრულირებას ეწევიან საქართველოს, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სპეციალური ჯგუფები („იბერია“).

•

პურის ფასი უნდა დავიცვათ

სასიხარულო ფაქტია, რომ ზუგდიდში ახლა პური აღარ აკლიათ. ქალაქსა და სოფლებში მთელი ძალით ამუშავდა ფურნეები, სადაც მოსახლეობისათვის საკმაო რაოდენობით ცხვება პური. მაგრამ ახლა ხალხს სხვა საფიქრალი გაუჩნდა. პურის ვაჭრები სხვადასხვა ფასად ყიდიან ერთი და იმავე ხარისხის, წონისა და ფორმის პურს, რასაც ტრანსპორტის ხარჯებს უკავშირებენ.

ასე ორიგინალურად აამოქმედეს საბაზრო ეკონომიკის კანონები ზუგდიდში.

ოდიკ ქუხილავა.

მიეძღვნა გიორგი ჩიქვაიძის ხსოვნას

სპორტის დამსახურებული ოსტატის — გიორგი ჩიქვაიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს ძალოსანთა თასის პირად-გუნდური გათამაშება თბილისში გაიმართა და დედაქალაქის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილი წილად ხვდათ საჩხერელ, ხოლო მესამე — ქუთაისელ ძალოსნებს.

პირად ჩათვლაში საპატიო პრიზის მფლობელები გახდნენ თბილისელები არმენ თათევოსიანი, ალექსანდრე კაზაჩენკო და თემურ მოწონელიძე, საჩხერელები — გაიოზ გაფრინდაშვილი, გიორგი სობოლევი და კობა ტალახაძე, ქუთაისელი მალხაზ ლომთაძე, ზუგდიდელი მუხრან გოგია, ახალციხელი ამბარცუმ ტოროსიანი და წყალტუბოელი ლევან ბერაძე.

ქართველ ძალოსანთა ლიდერი, ცხინვალელი ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი (90 კგ) პეკინს გაემგზავრა, სადაც 5 დეკემბერს იწყება მსოფლიო თასის გათამაშება.

საფეხბურთო მოზაიკა

„დინამოსა“ და „ალაზნის“ ცენტრალური მატჩის გარდა (როგორც უკვე ვიუწყებოდით, გაიმარჯვეს თბილისელებმა — 4:1), საქართველოს სტადიონებზე გუშინწინ გაიმართა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა ტურის კიდევ 6 შეხვედრა, რომლებშიც სტუმრებმა მხოლოდ 1 ქულის აღება შეძლეს. გავლილი თამაშების ტექნიკური შედეგები ასეთია: „კახეთი“-„ივერია“ —5:1, „გურია“-„სამტრედია“ — 1:1, „გორდა“-„შევარდენი-1906“ 2:1, „კოლხეთი-1913“-„მრეტები“ —2:0, „მარგვეთი“-„ქუთაისი“ — 2:0, „ბათუმი“-„დილა“ — 4:0.

წინა კვირაში მოეწყო მეათე ტურიდან გადმოტანილი მატჩი — „კოლხეთი-1913“-„ოდიში“ — 2:2.

ხვალ და ზეგ უნდა შედგეს პირველი წრის უკანასკნელი ტურის შეხვედრები.

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის VI ჯგუფის მორიგი შესარჩევი მატჩი თელ-ავივში ისრაელისა და ბულგარეთის ეროვნულ გუნდებს შორის მოიგეს სტუმრებმა — 2:0.

საერთაშორისო საფეხბურთო ორბიტაზე გავიდა უზბეკეთის ნაკრები, რომელმაც კუალა-ლუმპურში ფრედ — 1:1 ითამაშა ამხანაგურ მატჩში მალაიზიელებთან.

ცხონება

ნოდარ პეტრიაშვილი

საყვარელი ადამიანის დაკარგვა მუდამ მტკივნეულია, მაგრამ ნოდარ პეტრიაშვილის გარდაცვალება სრული მოულოდნელობითაც არის ჩვენთვის შემზარავი.

საქართველოს დამსახურებული არტისტი ნოდარ პეტრიაშვილი 1958 წელს მოვიდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის თეატრში. 1956 წელს კოტე მეღვინეთუხუცესისა და ილია თავაძის თაოსნობით შევიდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტის მუსიკალური კომედიის განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1961 წელს და კვლავ დაუბრუნდა მის საყვარელ თეატრს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღვაწა მან მუსიკალურ თეატრში, გულითადად უყვარდა თეატრი, მეგობრები და ერთი დღეც ვერ წარმოედგინა უთეატროდ.

მრავალი ერთმანეთისგან განსხვავებული და მკაფიო თავისთავადობით აღბეჭდილი სახე შექმნა მსახიობმა: რინალდო — „შავი ურჩხული“, ვარდენი — „სიმღერა თბილისზე“, სულთან ბეგი — „არშინ მალ ალან“, ნიკალა — „კურკას ქორწილი“, სოხანა — „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, ბიკოვი — „პაემანი ცაში“, დომენტი — „შესანიშნავი სამეული“, შაქრო — „ნინო“ და სხვა მრავალი. მისი გმირები არასოდეს დაავიწყდება მაყურებელს.

მშვიდობით, ჩვენო ერთგულო მეგობარო. ჩვენს ხსოვნაში სიკეთის, კაცობის და ერთგულების ნიმუშად აღბეჭდილო!

კულტურის სამინისტრო, თეატრის მოღვაწეთა კავშირი, ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრი.

1992 წლის 7 დეკემბერს, დღის 2 საათზე ცეკავშირის სხდომათა დარბაზში გაიმართება ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა. გამგეობის წევრების, კავშირის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების, მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

რეგისტრაცია იწარმოებს 7 დეკემბერს, დილის 10 საათიდან ავღანეთის ვეტერანთა კავშირში, გერგეთის გასასვლელი, 8.

გიწვევთ სასულიერო სასწავლებელი

ქ. ზესტაფონის წმ. ნიკოლოზის სახელობის სასულიერო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. დაწყებითი კლასების პედაგოგი.
2. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი.
3. საექთნო საქმე.

სასწავლებელში მიიღებიან ახალგაზრდები სრული და არასრული საშუალო განათლებით.

სწავლა უფასოა.

მისაღები გამოცდები მოეწყობა შემდეგ საგნებში — საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, საქართველოს გეოგრაფია, საექთნო საქმის სპეციალობაზე კი დამატებით ქიმია-ბიოლოგიაში.

განცხადებას რექტორის სახელზე საბუთების მიღების შესახებ უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. სრული ან არასრული საშუალო განათლების მოწმობა ან ატესტატი.
2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
3. დაბადების მოწმობა.
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.
5. ოთხი ფოტოსურათი 3X4-ზე.

საბუთების მიღება იწარმოებს ამა წლის 10 დეკემბრიდან. კონსულტაციები დაიწყება 5 იანვრიდან. კონსულტაციებზე დასწრება სავალდებულოა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, რკინიგზის № 7 საშუალო სკოლა, სასულიერო სასწავლებლის რექტორატი.

ყურადღება!

1992 წლის 8 დეკემბერს, სამშაბათს, გაიმართება სრულიად საქართველოს საზოგადოება „სამეგრელოს“ I ყრილობა (თბილისი, მაჩაბლის 13), დასაწყისი დღის 2 საათზე.

საზოგადოებასთან შეიქმნა ლტოლვილთა დახმარების შტაბი. მსურველებს ვთხოვთ, შემოწირულობები მოგვაწოდოთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, დღის 12 საათიდან 5 საათამდე, შემდეგ მისამართზე: **თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 40/1. ტელ.: 99-81-68, 99-85-81.**

საზოგადოება „სამეგრელო“; ლტოლვილთა დახმარების ფონდი.

განცხადება

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციას განზრახული აქვს აფხაზეთსა და შიდა ქართლში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად ხსოვნის წიგნის „უკვდავება“-ს გამოცემა.

ვთხოვთ, ვისაც საშუალება აქვს (მშობლებს, ახლობლებს, სამხედრო ნაწილებს, შესაბამის უწყებებს), მოგვაწოდონ დაღუპულ მეომართა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ფოტოსურათებით და საბრძოლო ეპიზოდებით, შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ერეკლეს მოედანი 8, ინდ. 380005, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, ტელეფონი: 98-74-97 ან 98-88-08.**

თუ თქვენ ამ წიგნის გამოცემისთვის გაგვიწევთ მატერიალურ დახმარებას, შეგიძლიათ თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: **№ 000700847, მთაწმინდის რაიონის სოცბანკი, ხსოვნის წიგნი — „უკვდავება“.**

წიგნში შეტანილი იქნება ყველა იმ ორგანიზაციისა და კერძო პირის ვინაობა, ვინც მორალურ და მატერიალურ დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში. წინასწარ გიხდით მადლობას.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

გამოიწერეთ
ჟურნალი
ეკონომიკა

ძვირფასო მკითხველო!

ჩვენი ჟურნალი ერთადერთი ყოველთვიური მეცნიერულ-პრაქტიკული ეკონომიკური ჟურნალია ქართულ ენაზე, რომელიც საიმედო მეგზურობას გაგიწევთ კომერციისა და ბიზნესის, საბაზრო ეკონომიკის საიდუმლოებათა დაუფლებაში.

წინასწარ მადლობას გიხდით ჩვენი ჟურნალის თანადგომისათვის.

ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქცია.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები
93-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 1188.

ინდექსი 66484